ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

სამშაბათი, 26 ივლისი, 2011 | №175 (5556 ) | ფასი: 30 თეთრი

„ახალი თაობა“+
კეისრები
8 ლარი
26 ივლისიდან




# სამარშრუტო ტაქსები დღეიდან გაიაფდება

გვ.3

## ვაშაძე რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობს



საკაშვილი მერაბიშვილის პროვოკაციას წამოეგო

გვ.2





## რა შედეგს გამოიღებს ილია II-ის შეხვედრა რუსეთის პატრიარქთან

გვ.5



## ხელისუფლება აფხაზეთის აღიარებას აპირებს

გვ.4

ებრაელი ეს საქართველო დუქანი ჰგონია

## *ნინო ბურჯანაძე:* პარტიის შექმნას ირაკლი ალასანიასთან ერთად ვაპირებდი

გვ.2





## საქართველო-პოლონეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება

## დღეს გიორგი სანაიას მკვლელობიდან 10 წელი შესრულდება

გვ.11

## თბილისში გველების კვალდაკვალ მორიელები გამოჩნდნენ

თბილისში გველების კვალდაკვალ მორიელები გამოჩნდნენ. მათ განსაკუთრებით ხშირად დედაქალაქის ძველ უბნებში ხვდებიან.

აღმაშენებლის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ ეზოში მოსახლეობა მორიელებს საკუთარი ძალით ებრძვის, ხოლო მათ მომრავლებას სარეაბილიტაციო სამუშაოებსა და ტემპერატურის მატებას უკავშირებს.

მედიკოსების ინფორმაციით, მორიელის ამ სახეობის ნაკბენი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს.

— ნაკბენი ადგილი ცივი წყლით უნდა დამუშავდეს და უახლოეს პერიოდში ექიმს უნდა მიმართოთ, — აცხადებენ მედიკოსები.

პირველი

## 3090
sms განცხადებები „ახალ თაობაში“

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე **3090** მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი.

ISSN 1987-9385

**3** აზერბაიჯანი ჩვენებურ განათლების რეფორმას გაეცნობა

**8** „ერთა ხმა“ 10 ქვეყანას გააერთიანებს

**4** 15 პირს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიანიჭეს

**8** ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი მესამედ ჩატარდება

# სამარშრუტო ტაქსები დღეიდან გაიაფდება

## რა გადაწყვეტილება მიიღო თბილისის მერიამ

**გუშინ ქალაქის მერიასთან მორიგი აქცია გაიმართა. მიკროავტობუსებზე გაზრდილი ფასები პარტია „მომავალმა საქართველომ" და ადამიანის უფლებათა დამცველმა არასამთავრობო ორგანიზაციებმა გააპროტესტეს. პარტია „მომავალი საქართველოს" ლიდერის, გიორგი ლალიძის განცხადებით, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია. თუ არ იქნება მათი მოთხოვნები დაკმაყოფილებული, ისინი პერმანენტულ აქციებს დაიწყებენ.**



შორენა გონგლაძე

— ჩვენ ვაპროტესტებთ სამარშრუტო მიკროავტობუსებზე ფასების მატებას, ეს არის გამაფრთხილებელი აქცია, მოვითხოვთ დედაქალაქის მერთან შეხვედრას, რათა გაგვცეს პასუხი იმ კითხვებზე, რა კითხვებიც საზოგადოებას აქვს, წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს აქცია გადაიზრდება ფართომასშტაბიან აქციებში და გვექნება სხვა მოთხოვნებიც. დედაქალაქის ბიუჯეტი იძლევა იმის საშუალებას, რომ ის ფასები, რაც აქამდე იყო, შენარჩუნდეს. საზოგადოება მეტის მოთმენას ნამდვილად აღარ აპირებს და თუ ქუჩაში გამოვა ხალხი, გამოვა სოციალური მოთხოვნებით და ეს საკითხი კი არის ერთ-ერთი უმწვავესი თითოეული მოქალაქისთვის, — განაცხადა ლალიძემ.

ჟურნალისტებთან ხანმოკლე გამოსვლის შემდეგ პარტიის ლიდერმა დედაქალაქის მერთან მოითხოვა შეხვედრა. მერიის შენობის ფოიეში ერთსაათიანი გარჩევებისა და გადარეკვ-გადმორეკვის შემდეგ ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსთან გადაწყდა შეხვედრა. რაც შეეხება ქალაქის მერს, ეს იდეა თავიდანვე განწირული იყო. როდის იყო, დიდი ბატონი რიგით მოქალაქეებთან კადრულობდა შეხვედრებს (ამ შემთხვევაში უნდა გამოვრიცხოთ წინასაარჩევნო კამპანიები და სკვერ-შადრევნების პრეზენტაციები). კიდევ ერთი, ასე ვთქვათ პატარა დეტალი, ანუ სიახლე მერიაში, გიგილოს სამფლობელოს კარი ჟურნალისტებისთვის ჩაკეტილი აღმოჩნდა, არც მეტი არც ნაკლები, დაცვამ ჟურნალისტები ლამის იყო პანღურით გამოგვყარა ფოიედან. როდესაც ადამიანი გაყენებს შეურაცხყოფას, არღვევს შენს უფლებებს, ვერ სარგებლობ ყველა იმ უფლებით, რისი უფლებაც ჯერჯერობით დარჩენილი აქვთ რიგით მოქალაქეებს, რას აკეთებს ადამიანი ამ შემთხვევაში? რა თქმა უნდა, იძახებს პატრულს, ჰოდა, უფლებადარღვეულმა და შეურაცხყოფილმა ჟურნალისტებმაც, როგორც დიდი მიშა გვასწავლის ხოლმე, ავკრიფეთ ნომერი 022 იმ იმედით, რომ ჩვენს უფლებებს ვინმე დაიცავდა, და ჰოი საოცრებავ, როგორც აღმოჩნდა, საპატრულო პოლიციის ეფლებამოვალეობები ჟურნალისტებზე არ ვრცელდება. მოკლედ, ასე იყო თუ ისე, თამაშგარე მდგომარეობაში დარჩენილებს ისღა დაგვრჩენოდა, ჯოხაძესთან მოლაპარაკებაზე შესულებს შენობის გარეთ დაველოდებოდით. ჯოხაძესთან შეხვედრა დაახლოებით ერთ საათს გაგრძელდა, შეხვედრის დეტალები კი პარტიის ლიდერმა გიორგი ლალიძემ გაახმოვანა. გიორგი ლალიძის თქმით:

— მე შევხვდი ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის უფროსს აკაკი ჯოხაძეს, განვიხილეთ ყველა საკითხი, მივედით იმ შეთანხმებამდე, რომ დღეს სამსახურის უფროსი დაელაპარაკება ყველა ხაზის ხელმძღვანელს და მისცემს რეკომენდაციას, რომ მოხდეს ტარიფის დაწევა. რაც შეეხება ყვითელ მიკროავტობუსებს, პირველი მგზავრობა იქნება ოთხმოცი თეთრი, ხოლო შემდგომ ყველა მგზავრობა იქნება 65 თეთრი, სოციალურად დაუცველ ადამიანებზე იქნება მგზავრობა 40 თეთრი. რაც შეეხება ძველ სამარშრუტო ტაქსებს, დღესვე მიეცემათ მათ მერიისგან რეკომენდაცია, რათა დაუბრუნდნენ ძველ ტარიფს და ამაზე საბოლოო პასუხი გვექნება დღის ბოლოს. იმ შემთხვევაში, თუ ჩვენ მიღებულმა პასუხმა არ დაგვაკმაყოფილა, ჩვენ განვაგრძობთ აქციებს, — განაცხადა გიორგი ლალიძემ. რაც შეეხება დღის ბოლოსთვის დაპირებულ პასუხს, ასეთია:

— მე ტელეფონით ვესაუბრე აკაკი ჯოხაძეს, მან მითხრა, რომ სატელეფონო საუბრებით ეს საკითხი ვერ გადაწყდება და ხვალ, მერიის წარმომადგენლები დაიწყებენ სამარშრუტო ხაზებზე შემოვლას და მათ შორის ყვითელ სამარშრუტო ტრანსპორტზეც და მისცემენ რეკომენდაციას, რომ დაიწიოს ფასმა. ამასთან ერთად ჯოხაძემ მთხოვა, რომ ჩვენმა პარტიამ მიმართოს მიკროავტობუსების ხელმძღვანელობას იგივე თხოვნით. მინდა ცალსახად განვაცხადო, რომ ჩვენი თვითმიზანი არ არის საკითხის გამწვავება, ეს ისედაც უმწვავესი სოციალური პრობლემაა და თუ საკითხი არ იქნება დადებითად გადაწყვეტილი, ჩვენ აუცილებლად დავიწყებთ ფართომასშტაბიან აქციებს, რასაც, მერწმუნეთ, მოსახლეობის უდიდესი ნაწილი შემოუერთდება, ვინაიდან ხელისუფლება ვალდებულია, იზრუნოს საკუთარი მოსახლეობის უფლებების დასაცავად. როდესაც ხელისუფლება ამას არ აკეთებს, ამ შემთხვევაში ის ხელისუფლება უნდა წავიდეს. ჩვენ აუცილებლად ამ ბრძოლას მივიყვანთ ბოლომდე, ვინაიდან ეს ბრძოლა არის სამართლიანი, — განაცდა გიორგი ლალიძემ.

**ნათელა მშვენიერაძე, ადამიანის უფლებათა დამცველი:**

— ეს საკითხი ერთნაირად მნიშვნელოვანია თითოეული მოქალაქისთვის, მე არ ვსაუბრობ ამ ადამიანებზე და მათნაირებზე, ვინც ამ შენობაში ზის და ხალხის ფულით უზრუნველად ცხოვრობს, მე ვსაუბრობ რიგით მოქალაქეებზე, რომელთაც ცხოვრება და ყოფა ყოველდღიურად უმძიმდებათ. ჩვენ დღეს ჩავატარეთ გამაფრთხილებელი აქცია, იმ შემთხვევაში, თუ ასე გაგრძელდა ყველაფერი, ჩვენ გავმართავთ ფართომასშტაბიან აქციებს, სადაც უფრო მეტი ადამიანი მოვა. დარწმუნებული ვარ, ამ ხელისუფლებას არც ერთი ჩადენილი დანაშაული და შეცდომა არ ეპატიება, დადგება დრო, მათ ხალხი პასუხს მოსთხოვს.

# ნინო ბურჯანაძე: პარტიის შექმნას ირაკლი ალასანიასთან ერთად ვაპირებდი

„დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერ ნინო ბურჯანაძის განცხადებით, 2008 წელს იგი პარტიის შექმნას ირაკლი ალასანიასთან ერთად გეგმავდა, თუმცა გეგმის განხორციელება ამ უკანასკნელის უარის გამო ვერ მოხერხდა.

როგორც ბურჯანაძემ გუშინ სასტუმრო „ძველ თბილისში“ გამართულ შეხვედრაზე ჟურნალისტებს განუცხადა, მან ალასანიას პარტიაში მეორე კაცობა შესთავაზა. პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის თქმით, არჩევნებში გამარჯვების შემთხვევაში მას პარლამენტის თავმჯდომარეობა არ სურდა და სპიკერის თანამდებობას ალასანიას სთავაზობდა, თუმცა შეთანხმება ვერ მოხერხდა.



— ამ დროს მიხეილ სააკაშვილის ადრე ნათქვამი სიტყვები გამახსენდა: მას (ალასანიას) პრეზიდენტობა უნდაო. კარგად მახსოვს იმ დროს მე და მიშამ ბევრი ვიკამათეთ, მე ვეუბნებოდი შენგან განსხვავებით, არა მგონია, ალასანიას იმხელა ამბიცია ჰქონდეს 34 წლის ასაკში პრეზიდენტობა უნდოდეს—თქო, — განაცხადა ბურჯანაძემ.

მისი თქმით, ამ პერიოდში პარტიაში დამოუკიდებელ, „არავის ქოლგის ქვეშ არმყოფ პირებს“ იწვევდა.

**მედიანიუსი**

# რუსეთში ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარების მომხრეთა რიცხვი მცირდება

რუსეთის მოქალაქეები სულ უფრო ნაკლებად არიან დარწმუნებულები ქვეყნის ხელისუფლების სწორ გადაწყვეტილებაში ე.წ. სამხრეთ ოსეთში ჯარების შეყვანისა და რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარების საკითხში. „როსბალტის“ ცნობით, ამაზე მეტყველებს „საზოგადოებრივი აზრის ფონდის“ გამოკვლევები.

ფონდის გამოკითხვის თანახმად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის ჩარევას სამხრეთ ოსეთის კონფლიქტში მხარს გამოკითხულთა 77 % უჭერდა. დღეის მონაცემებით კი, ამ ფაქტის მხარდამჭერთა რიცხვი 10 %-ით შემცირდა.

ამავე გამოკითხვის თანახმად, 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მიერ ე.წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობის აღიარებას მხარს რუსეთში გამოკითხულთა 70 % უჭერდა, დღეის მონაცემებით კი, მათი რაოდენობა 64 %-მდე შემცირდა. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კითხვაზე პასუხის გაცემა მანამდე 22 %-ს უჭირდა, დღეს კი 29 %-ს უჭირს.

**ინტერპრესნიუსი**

# ვაშაძე რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობს

## სააკაშვილი მერაბიშვილის პროვოკაციას წამოეგო

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ გოგა ხაინდრავასთან

*— ბატონო გოგა, თქვენც აქტიურად მონაწილეობდით იმ აქციებში, რომლებიც დაკავებული ფოტორეპორტიორების მხარდასაჭერად იმართებოდა. როგორ ფიქრობთ, რა იყო მათი დაკავების მიზანი, რისთვის დაიჭირეს ან ასე მარტივად რატომ გამოუშვეს, როგორ ფიქრობთ?*

— მარტივად არ გამოუშვიათ, მე ვფიქრობ, ძალიან დიდი ძალისხმევა იყო საჭირო და, პრინციპში, აქამდე ჯერ მსგავსი ერთიანობა პრესის და მსგავსი ერთიანობა საზოგადოების, როგორიც ამ დღეებში იყო, მე მგონი, უპრეცედენტო იყო. ამან, რა თქმა უნდა, ძალიან შეაშფოთა სააკაშვილის რეჟიმი და, გარდა ამისა, არც ერთი გამოცემა არ დარჩა მსოფლიოში, რომელიც არ გამოხმაურებოდა ამ საქმეს, ამასთან დაკავშირებით არ ყოფილიყო კომენტარი და არ ყოფილიყო გამუდმებული კონტროლი ამ საქმის. ამიტომ ამან, რა თქმა უნდა, ძალიან დიდი როლი ითამაშა და ეს ძალიან მნიშვნელოვანია. ეს არის ძალიან დიდი წარმატება სამოქალაქო საზოგადოების და პირველ რიგში — პრესის, ყველა იმ გამოცემის, რომელიც რეალურად წარმოადგენს პრესას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი იყო, იმიტომ რომ ეს გარკვეულწილად წყალგამყოფიც აღმოჩნდა, რომელმაც ნათლად გვაჩვენა, რა არის პრესა და რა არის ზონდერჯგუფები შინაგან საქმეთა სამინისტროსი, რომელიც ამა თუ იმ მაუწყებლისა თუ მედიის სახით მოქმედებენ. რეალურად არანაირი კავშირი მათ მედიასთან არა აქვთ. ეს არის გაგრძელება იმ უკანონო დაწესებულების, რომელსაც რატომღაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ეძახიან. სინამდვილეში ეს არის კრიმინალურიგაერთიანება, რომელიც მოწოდებულია მოსახლეობის დათრგუნვის, დაშინების, წამებისა და უკანონობისთვის. ამიტომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორი იყო. ამ ფაქტორმა განაპირობა უკანდახევა. მეორე იყო ის, რომ რეალურად არანაირი ხელშესახები გამოძიებას არ ჰქონდა. აბსოლუტურად სამარცხვინო იყო ის ვითომდა დამლაგებლების სქემები, სააკაშვილის გადაადგილება და ესტონეთის პრეზიდენტის პროგრამის ქონა კომპიუტერში. სასასაცილოდ არ



ჰყოფნის არავის. მე ამ თემაზე ძალიან ინტენსიური კონტაქტები მქონდა. ეს ამბავი რომ მოხდა, მე ჯერ კიდევ ლატვიაში ვიყავი. რეალურად არ დარჩენილა არც ერთი სააგენტო არც ლატვიაში, არც ბალტიისპირეთში და არც სკანდინავიის ქვეყნებში, სადაც ჩვენ ინფორმაცია არ მიგვიწოდებია. რა თქმა უნდა, ინფორმაცია ყველგან გადიოდა, მაგრამ თქვენ იცით, რამდენ ფულს ხარჯავს სააკაშვილის რეჟიმი იმისთვის, რომ მედიის ბლოკადა განახორციელოს და არ გავიდეს სიმართლე. ამიტომ, ბუნებრივია, როდესაც ისინი ეყრდნობოდნენ სამთავრობო არხების მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, ამის საპირისპიროს ჩვენ ვავრცელებდით ჯერ კიდევ რიგიდან, იმ რეალურ სურათს და იმ რეალურ ფაქტებს, რომელთა დამახინჯება ხდებოდა. სხვათა შორის, მინდა გითხრათ, რომ ამერიკის ბლოკადა ამ თვალსაზრისით საკმაოდ სერიოზული იყო, მაგრამ მისი გარღვევა შესაძლებელი გახდა. დღეს სააკაშვილის რეჟიმს კონტროლი აქვს დაკარგული თავის თავზე და დარტყმა მათზე ყველაზე რთული მიმართულებით იყო მიყენებული.

*— რას გულისხმობთ?*

— მსოფლიო მედია ისეთი ორგანიზაციაა, რომელიც არავითარ შემთხვევაში არ უშვებს საკუთარი კოლეგების შეურაცხყოფას და არ ტოვებს

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24, თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

## აზერბაიჯანი ჩვენებურ განათლების რეფორმას გაეცნობა



საქართველოს განათლების სფეროში მიმდინარე რეფორმების გასაცნობად საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს აზერბაიჯანული დელეგაცია ეწვია. დელეგაციას მინისტრმა დიმიტრი შაშკინმა უმასპინძლა და სისტემაში განხორციელებული და მიმდინარე ახალი პროექტები, კერძოდ, საატესტატო გამოცდები, მანდატურის ინსტიტუტი, პირველკლასელთათვის ნეტბუქების დარიგება, უცხო ენის გაძლიერებულად სწავლება, უმაღლესი და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე სხვა სიახლეები გააცნო.

ვიზიტის ფარგლებში როგორც სამინისტროს, ასევე მის დაქვემდებარებაში არსებული სტრუქტურების წარმომადგენლებთან არაერთი შეხვედრაა დაგეგმილი.

აზერბაიჯანული დელეგაცია სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრატრუქტურის განვითარების სააგენტოში იმ უახლესი სისტემებით აღჭურვილ სასერვერო ცენტრს გაეცნობა, საიდანაც სამინისტროს წარმომადგენლები მთელი საქართველოს მასშტაბით საატესტატო გამოცდებს წარმართვდნენ და პროცესის მიმდინარეობას ვიდეოგამოსახულების საშუალებით აკვირდებოდნენ.

გარდა ამისა, აზერბაიჯანელები საქართველოს პრეზიდენტის მიერ ინიცირებული იმ პროგრამით დაინტერესდნენ, რომლის თანახმად, მოსწავლეები ინგლისურ ენას პირველივე კლასიდან შეისწავლიან და ყველა პირველკლასელი სახელმწიფოსგან საჩუქრად ნეტბუქს მიიღებს.

ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია სამინისტროს ხარისხის განვითარების ეროვნული სააგენტოსა და გამოცდების ეროვნული ცენტრის მონახულება, ასევე იმ სიახლეების გაცნობა, რომელიც უმაღლესი განათლების სფეროში ხორციელდება.

**პირველი**

## საქართველო-პოლონეთის ბიზნეს-ფორუმი გაიმართება



27 ივლისს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ საქართველო-პოლონეთის ბიზნეს-ფორუმი და ორმხრივი შეხვედრები გაიმართება.

როგორც „პირველს“ ეროვნული საინვესტიციო სააგენტოდან აცნობეს, ფორუმს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ნიკა გილაური და პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბრონისლავ კომოროვსკი გახსნიან.

ბიზნეს-ფორუმზე ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ, შესაბამისი სექტორების მიხედვით პოტენციურ ბიზნეს-პარტნიორებს შეხვდნენ და მოლაპარაკებები გამართონ.

ფორუმი საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს, საქართველოში პოლონეთის რესპუბლიკის საელჩოს, საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციისა და საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით იმართება.

ცნობისთვის, 26-27 ივლისს საქართველოს პოლონეთის რესპუბლიკის პრეზიდენტი ბატონი ბრონისლავ კომოროვსკი და მთავრობის სხვა წარმომადგენლები ეწვევიან. ოფიციალურ დელეგაციას თან პოლონელ ბიზნესმენთა დელეგაცია ახლავს. დელეგაციაში შემავალი ბიზნესმენები საფინანსო, სადაზღვევო, საკვები პროდუქტების და ენერგეტიკის სფეროებს წარმოადგენენ. მათი მიზანი საქართველოში ბიზნეს-პარტნიორების მოძიება და საქმიანი ურთიერთთანამშრომლობის დამყარებაა.

**პირველი**

## ჯაშუშობის მუხლზე საპროცესო გარიგება კანონით დაუშვებელია

ჯაშუშობის მუხლზე საპროცესო გარიგება კანონით დაუშვებელია.

ამის შესახებ სასტუმრო „ძველ თბილისში“ ჟურნალისტებთან შეხვედრისას ნინო ბურჯანაძემ ფოტორეპორტიორების საქმის კომენტირებისას განაცხადა. მისი თქმით, არსებობს მუხლები რომლებთან დაკავშირებითაც საპროცესო გარიგების გაფორმება არ შეიძლება. ბურჯანაძე აცხადებს, რომ ჯაშუში არის მხოლოდ უცხო ქვეყნის მოქალაქე და საქართველოს მოქალაქე საკუთარ ტერიტორიაზე არ შეიძლება იყოს.

მისივე თქმით, ფოტორეპორტიორების საქმეს უცხოეთიდან დიდი გამოხმაურება მოჰყვება, რადგან ხელისუფლების მხრიდან რეალური მტკიცებულებები, რომლებიც მათ ამ დანაშაულს ადასტურებდა, არ წარმოუდგენია.

— თუ, როგორც ამას ხელისუფლება ამტკიცებს, ისინი ჯაშუშობდნენ რატომ გამოუშვეს სახელმწიფო მოღალატე. ამ შემთხვევაშიც მაქვს კითხვა, თუ შეიძლება სახელმწიფო მოღალატე გაათავისუფლო, რატომ ზის ციხეში ჩემი საწყალი მძღოლი, 7 წლიანი მუხლით, რომელიც მხოლოდ იმისთვის დააკავეს, რომ ჩემი მძღოლია, ან პოლიციელისთვის ფეხის მოტეხვა და პრეზიდენტის სიცოცხლის საფრთხის ქვეშ დაყენება ერთი და იგივე დანაშაულია? — განაცხადა ბურჯანაძემ.

**ინტერპრესნიუსი**

თქვენი ზარით შეეწიეთ
ბებნისის დედათა მონასტრის
მშენებლობას
მაგთის, ჯეოსელის, ბილაინის აბონენტებმა დარეკეთ ნომერზე 700 605
ღმერთმა შეგიწიროთ!
ზარის ღირებულებაა 1 ლარი

# ვაშაძე რუსულ დაზვერვასთან თანამშრომლობს

დასაწყისი მე-2 გვერდზე



მათ დახმარების გარეშე. ნებისმიერ ჟურნალისტს ესმის, რომ სადაც არ უნდა მოხდეს ჟურნალისტების დევნა, სადაც არ უნდა განხორციელდეს უსამართლობა მათ მიმართ, ეს თავისთავად ყველას ეხება. ამიტომ შიდა ძმობა და ერთმანეთისადმი მხარდაჭერა ძალიან მაღალი ხარისხისაა მსოფლიო მედიაში. ესეც ვერ გაითვალისწინეს, ძალიან სერიოზული შეცდომები იყო დაშვებული მერაბიშვილისა და ადეიშვილის მხრიდან და რეალურად მითი მათი უძლეველობისა და ხერხემლობის შესახებ მთლიანად დაინგრა. ხელისუფლებამ საკუთარი თავი დაანგრია, რასაც მე მივესალმები, იმიტომ რომ არასოდეს მჯეროდა და მშვენივრად ვიცოდი მათი გონივრული შესაძლებლობები. უბრალოდ, აქ საქმე გვაქვს არაადამიანთა კრებულთან, რომელიც ყველაფერზეა წამსვლელი. ერთ-ერთი ყველაზე შემზარავი, რისი მომსწრენიც ჩვენ ვიყავით, ეს იყო სახელმწიფო მანქანის სრული მობილიზაცია ამ ადამიანების გასაჭყლეტად და გასანადგურებლად. ყველა რგოლი, მთელი სახელისუფლებო მანქანა, დაწყებული გამომძიებლიდან, დამთავრებული ამ ზონდერტელევიზიებით, მომართული იყო იმისთვის, რომ როგორმე გაენადგურებინათ აბდალაძე, გაენადგურებინათ ქურციკიძე, გაენადგურებინათ გედენიძე. მე ვფიქრობ, რომ ადამიანის ფსიქოლოგიური განადგურება არანაკლები დანაშაულია, ვიდრე მისი ფიზიკური განადგურება. თქვენ ხედავდით, როგორ მთელი მანქანა იყო ჩართული იმისთვის, რომ როგორმე გაეტეხათ და დაეთრგუნათ განსაკუთრებით აბდალაძის ნება. მე ვფიქრობ, გმირული კვირა ჩაატარა აბდალაძემ და მისი ბოლო მიმართვა პატრიარქის სახელზე სულის კივილი იყო. ბიჭი გრძნობდა, რომ რეალურად ველარ ეწინააღმდეგებოდა, იმიტომ რომ თქვენ კარგად გესმით, ამ პათოლოგების ხელში, ამ არსებების ხელში, ვისთვისაც არაფერი წმინდა ამ ქვეყანაზე არ არსებობს, რა განსაცდელის წინაშე დააყენეს. ამიტომ მე ვფიქრობ ეს საზოგადოების და პირველ რიგში ქართული პრესის ძალიან ღირსეული და ძალიან პრინციპული გამარჯვებაა.

***— საუბარია, რომ პირადი შურისძიება იყო მათი დაპატიმრების მთავარი მოტივი. თქვენ რა ინფორმაციებს ფლობთ?***

— აქ ორი მოტივია. მე აქვე მინდა დავამატო ადვოკატების ძალიან სერიოზული და პასუხისმგებლური დამოკიდებულება ამ საკითხისადმი. ადვოკატთა ერთობა, გარდა იმ გარეწრებისა, რომლებმაც საკუთარი სინდისის გაყიდვის ფასად ხელი შეუწყვეს გამოძიებას და განსაკუთრებით იმათ ვგულისხმობ, ე.წ. სახაზინო ადვოკატებს. ისინი სახაზინო კი არა, უსინდისო ადვოკატები არიან, თორემ თავმოყვარე და ღირსების მქონე ადამიანი სასამართლოზე არ მივიდოდა იმ დილას, როდესაც გამოძიებამ დაპატიმრებული ფოტორეპორტიორების სახელით აცილება გაუკეთა ექვს ადვოკატს. მოძებნა მაინც ნაძირლები. სამწუხაროდ, საქართველოში შადიმანებს რა გამოლევს. ადვოკატებს შორისაც აღმოჩნდნენ შადიმანები. ამ ადამიანების სახელები ყველასთვის უნდა გახადოს მედიამ ცნობილი, რომ აღარავინ გაბედოს იმავე ნაბიჯის გადადგმა, იმიტომ რომ, პრაქტიკულად, მათ უღალატეს თავიანთ პროფესიას, უღალატეს სინდისს, ადამიანის სიცოცხლეს და რეალურად საფრთხის ქვეშ დააყენეს ვითომდა თავიანთი დაცვის ქვეშ მყოფი ადამიანები. მათი სახელები, ისევე, როგორც ფოტოები, პროტესტის ნიშნად გადახაზული იყო. ზუსტად ასე უნდა იყოს პრესაში მათი სახელები გარკვეული დროის განმავლობაში დაფიქსირებული, რომ, აი, ვინ არიან ისინი, ვინც ემსახურებიან რეჟიმს და ვინც არღვევს, პრაქტიკულად, ჰიპოკრატეს ფიცს, ვინაიდან ადვოკატს არანაკლები პასუხისმგებლობა გააჩნია ადამიანის, მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის წინაშე, ვიდრე ნებისმიერ ექიმს. რაც შეეხება მოტივს, მოტივი იყო ორი: პირველი მოტივი ყველაზე მნიშვნელოვანია, რომ ცხადი გახდა, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროდან და საგარეო საქმეთა სამინისტროდან ძალიან სერიოზული ინფორმაციული გაჟონვა მიდის. გაჟონვა კი არა, ეს არის პირდაპირი თანამშრომლობა რუსულ დაზვერვასთან და მას ახორციელებენ უმაღლესი სახელისუფლებო პირები.

***— ვის გულისხმობთ?***

— ეს არის ვაშაძე, ეს არის მერაბიშვილი, იქ ბენდუქიძესა და ბეჟუაშვილზე აღარ ვლაპარაკობ, მაგრამ რეალურად საფრთხის წინაშე მათი უსაფრთხოება დადგა იმის გამო, რომ ის ინფორმაცია, რომელიც გადის, იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მისი გადაფარვა გახდა საჭირო. ამიტომ სასწრაფოდ მოიგონეს ეს ისტორია იმის შესახებ, რომ თითქოსდა ეს ინფორმაცია გადის ფოტოგრაფებიდან და არა უმაღლესი პირებიდან. ეს გაცხადდება ძალიან მალე. ამის მანიშნებელი ძალიან ბევრი წინაპირობა არსებობს და, მე ვფიქრობ, ამ სკანდალს გაგრძელება ექნება, მაგრამ, ბევრად უფრო ხმაურიანი და მნიშვნელოვანი და, მე ვფიქრობ, რეგიონული მასშტაბის სკანდალთან გვექნება საქმე. მეორე მოტივი პირველიდან გამომდინარეა, იმიტომ რომ, ეს სააკაშვილის ხელით იყო გასაკეთებელი. ბუნებრივია, რუსეთის დაზვერვის ჯაშუშებს, რეალურ ჯაშუშებს, ვინც მოკალათებულნი არიან საქართველოს უმაღლეს ხელისუფლებაში, სააკაშვილის ბრძანება სჭირდებოდათ ამისთვის. ეს ინიციატივა სააკაშვილისგან უნდა წამოსულიყო და ისინი მხოლოდ შემსრულებლები უნდა ყოფილიყვნენ ამ ბრძანების და არა თვითონ ინიციატორები. ამიტომ, რა თქმა უნდა, გამოყენებული იყო 26 მაისის მოვლენები. თქვენ იცით, რომ ძირითადი ფოტოები სწორედ ამ ადამიანების მიერ იყო გადაღებული, იმ სასაკლაოსი, რომელიც სააკაშვილმა მოუწყო საკუთარ ხალხს.

***— იმის თქმა გინდათ, რომ სააკაშვილი მერაბიშვილის პროვოკაციას წამოეგო?***

— რა თქმა უნდა, იმიტომ რომ ყველაფერი ეს მიმართულია თვითონ სააკაშვილის წინააღმდეგ. ამის შედეგად სააკაშვილის სახე მსოფლიო პოლიტიკურ ასპარეზზე, თუ რამე ჰქონდა შენარჩუნებული, ისიც მთლიანად წაშლილია და ამის მოწმე მე ვარ ნამდვილად. მე ევროპაში ვიყავი მაგ დროს და ვხედავდი რეაქციებს და კომენტარებს ამასთან დაკავშირებით. აქ ბევრად უფრო გლობალურ თამაშთან გვაქვს საქმე, ვიდრე ლოკალური სამი რეპორტიორის საქმეა. აქ არის ლაპარაკი ძალიან სერიოზულ პროვოკაციაზე, რომელიც მზადდება და საქართველოს ჩათრევის მცდელობა ძალიან სერიოზულია კავკასიურ კონფლიქტში, რომლის წინაშეც უკვე ვდგავართ. მე ვფიქრობ, რომ ისეთი გახურებული და დაძაბული ურთიერთობა, როგორიც სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის ახლა არის, ჩვენ ყარაბახის ფაზის დასრულების შემდეგ ასეთი დაპირისპირებული ვითარების წინაშე არ ვმდგარვართ უკანასკნელი წლების მანძილზე. მაინც დაკონსერვებული იყო კონფლიქტი და ახლა აქტიური ფაზაა დაპირისპირების. ჯერჯერობით ეს ცივი ომის ფარგლებში მიმდინარეობს, მაგრამ არავინ არის დაზღვეული იმისგან, რომ ეს ცხელი ომის ფაზაში გადავიდეს. ამაზე რამდენიმე ლობი მუშაობს სხვადასხვა მიმართულებით, რომ საქართველო იყოს ამაში ჩათრეული. ისეთი უგუნური, უვიცი, ულირსი და სხვისი ინტერესების მსახური ხელისუფლების ხელში, ბუნებრივია, ეს მარტივად არის განსახორციელებელი და ეს დამანგრეველი ძალის დარტყმა იქნება ჩვენი ქვეყნისთვის, რა თქმა უნდა.

***— ფიქრობთ, რომ ის კანონპროექტი რელიგიასთან დაკავშირებით და სომხეთთან სიტუაციის გამწვავება ამას უკავშირდება?***

— რასაკვირველია. ჩვენ უკვე დიდი ხანია მივეჩვიეთ იმას, რომ ნებისმიერი მნიშვნელოვანი ანტისახელმწიფოებრივი გადაწყვეტილების წინ, როგორც წესი, ხდება ასეთი სპექტაკლების დადგმა და მცდელობა საზოგადოების ყურადღების მასზე გადატანის და არა იმ მნიშვნელოვან საკითხზე. ეს ზურგში ჩაცემული დანაა ჩვენი სახელმწიფოსთვის, მისი აწმყოსა და მომავლისთვის. ახლა ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიასთან ომი გაჩაღებულია პირველი დღეებიდან, რაც სააკაშვილის რეჟიმი მოვიდა საქართველოში, მაგრამ ასეთი აქტიური და მძიმე შედეგების მომტანი დარტყმები, რომლებიც უკანასკნელი კვირების მანძილზე განხორციელდა, საგანგაშოა და მომავალში სერიოზული პრობლემების შემქმნელია საქართველოსთვის. ამის შესახებ არა მარტო უწმინდესი აცხადებს, არამედ მთელი შეგნებული საზოგადოებისთვის ნათელია, რომ ეს მომაკვდინებელი ეფექტის დარტყმები იყო განხორციელებული. მადლობა ღმერთს, რომ ქართველ საზოგადოებას და, რაც მთავარია, ქართულ ეკლესიას გონება, მადლი ეყო იმისთვის, რომ როგორმე გაენეიტრალებინა შექმნილი ვითარება. თუმცა, ბრძოლა გრძელდება, ეს მოღალატეების ჯგუფი, რომელიც მოკალათებულია ხელისუფლების სათავეში, არ დაანებებს ამას თავს, იმიტომ რომ ეს არის მათი დანიშნულება, ეს არის მათი დავალება, რომლითაც ისინი მოყვანილი არიან ძალაუფლებაში და, ბუნებრივია, ისინი გააგრძელებენ ამ საქმიანობას, ამ მავნებლობას და ამ ქვეყნის პოლიტიკური რუკიდან წაშლის მცდელობას, რაც უკვე სახეზეა, რათა შემდეგ მისი გაყიდვა მოხდეს რაც შეიძლება იაფად. ჩვენ თუ გავაანალიზებთ ამერიკის შეერთებული შტატების პოზიციას საქართველოში და ელჩის საქმიანობას, რომელიც ამ ხელისუფლების მფარველად მოგვევლინა ამ ქვეყანაში და რეალურად ცეკას მდივნის როლს შეასრულებს, როგორც თავის დროზე მოსკოვიდან მოვლენილი ემისრები. ამ შემთხვევაში ის ვაშინგტონიდან არის მოვლენილი, მაგრამ ის ნეგატიური ეფექტი, რომელსაც ის ახორციელებს თავისი საქმიანობით, პირდაპირ მიანიშნებს, რომ ეს ქვეყანა არავის სჭირდება. მათ სჭირდებათ მხოლოდ ტერიტორია და ამ ტერიტორიის გამოყენება საკუთარი ინტერესების განსახორციელებლად. ქართველი ხალხი, მისი წარსული, მომავალი და ინტერესები აქ არაფერ შუაშია. ეს ინტერესები ორ და სამ ცენტად იყიდება მსოფლიო ბაზარზე ქართველი ჯარისკაცების სისხლისა და ხორცის სახით. მგონი, ეს ეჭვს აღარავისში უნდა იწვევდეს. გამოდის, რომ ჩვენ ორ ფრონტზე მოგვიწევს წინააღმდეგობის გაწევა. ერთია პირდაპირი ინვენტენცია რუსული სამხედრო მანქანის საქართველოს ტერიტორიაზე და მეორეა ამერიკული ექსპანსია, რომელიც ფულსა და ხალიჩის ქვემოთ მოქმედებებშია ასახული. ორივე შემთხვევაში ძალიან მძიმე შედეგების მომტანია ჩვენი ქვეყნისა და მისი მომავლისთვის.

შედით საიტზე atb.ge



# 15 პირს პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიანიჭეს

ადამიანის უფლებების დამოუკიდებელმა კომისიამ, სხდომაზე, რომელსაც „თავისუფალი საქართველოს“ ლიდერი კახა კუკავა თავმჯდომარეობდა, 20 სისხლის სამართლის საქმე ინდივიდუალურად მოისმინა და აღნიშნული საქმეებიდან 15 საქმეზე გადაწყვეტილება მიიღო, რომლის თანახმადაც, 15 პირს, პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მიენიჭა.

კერძოდ, ალექსანდრე ჭუმბურიძეს, რომელსაც ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები ედება, რაც ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას და ტარებას გულისხმობს, რისთვისაც ჭუნბურიძეს 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

ადამიანის უფლებების დამოუკიდებელი კომისიის ინფორმაციით, ჭუმბურიძის დაკავების მიზეზი პოლიტიკური მოტივია, რადგან დაკავებული კომუნისტური პარტიის წევრია და მას აღიარებით ჩვენებას იგორ გიორგაძისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ სთხოვენ.

ადამიანის უფლებების დამოუკიდებელი კომისიის ინფორმაციით, პოლიტიკური მოტივით დაკავებულები არიან ასევე, „სახალხო მართმადიდებლური მოძრაობის“ წევრები შოთა აფხაიძე, რატი მაისურაძე, ლევან ჩაჩუა, ჯაბა გურჩიანი, გიორგი გაბედავა, ავთანდილ ზუმბაძე, დავით შალამბერიძე და ზვიად ბლიაძე.

მათ ბრალი სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით და 239-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენეს, რაც ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლას და ხულიგნობას გულისხმობს. მათ თავისუფლების აღკვეთა ოთხი წლისა და ექვსი თვის ვადით მიესაჯათ.

კომისიის იმფორმაციით, მათი დაპატიმრების მიზეზი 2010 წლის 7 მაისს ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში მიმდინარე დისკუსიაში მონაწილეობა გახდა, რომელიც ერეკლე დეისაძის წიგნს „საიდუმლო სირობას“ ეხებოდა, დისკუსიის დროს სტუდიაში ცხარე დებატები დაიწყო, თუმცა ამის მიუხედავად დაკავებულებიდან არცერთს არ მიუყენებია ფიზიკური შეურაცხყოფა ოპონენტებისთვის.

კომისიამ პოლიტიკური პატიმრის სტატუსი მალხაზ არქანიასაც მიანიჭა. მას ბრალად სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მეორე ნაწილი ედება, რომელიც ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა, შენახვას გულისხმობს და რომელიც შვიდი წლით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

კომისიის ინფორმაციით, არქანიას დაპატიმრებას ასევე პოლიტიკური მოტივი უდევს საფუძვლად, რადგან აფხაზურმა მხარემ დაკავებულს აფხაზეთის ტერიტორიაზე ტელევიზიის გახსნა შესთავაზა, რაზეც მან უარი განცხადა. რის შემდეგაც, ზუგდიდის სამხარეო სამმართველოს უფროსის მოადგილემ თენგიზ ქარდავამ ხელისუფლების სახელით არქანიას აღნიშნულ შეთავაზებაზე თანხმობა მოსთხოვა, ქართული მხარისთვის სასარგებლოდ საიდუმლო ინფორმაციის მოპოვების მიზნით. არქანიამ აღნიშნულზე უარი განაცხადა, რის გამოც მოხდა მისი დაკავება.

კომისიის ინფორმაციით, პოლიტიკური მოტივით ასევე დაკავებულები არიან „ქართული პარტიი“ წევრები ხვიჩა მაჭარაშვილი, ბონდო კაკაშვილი და დავით ჯარმელიშვილი.

მათ სისხლის სამართლის კოდექსის 238-ე მუხლის მეორე ნაწილით წაუყენეს ბრალი, რაც ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო ტარებას გულისხმობს. დაკავებულებს წინასწარი პატიმრობა შეუფარდეს.

კომისიის ინფორმაციით, შინაგან საქმეთა სამინისტროს მასალების მიხედვით აღნიშნულ პირთა დაკავება განხორციელდა იმ საფუძვლით, რომ მათ ჩამოყალიბებული ჰქონდათ უკანონო ფორმირება და მაისის ბოლოს საქართველოში დესტაბილიზაციას გეგმავდნენ.

პოლიტიკური პატიმრის სტატუსი კომისიამ ,,სახალხო კრების“ აქტივისტსა და ნინო ბურჯანაძის დეიდაშვილს ზვიად ბერაძესაც მიანიჭა.

მას სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილები შეეფარდა, რაც ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენას, შენახვას და ტარებას გულისხმობს, რისთვისაც მას წინასწარი პატიმრობა შეეფარდა.

კომისიის ინფორმაციით, მაისის საპროტესტო აქციების შემდეგ ოპოზიციის მომხრეთა მასობრივი დაპატიმრებები დაიწყო და ზვიად ბერაძეც აღნიშნულის გამო დააკავეს.

კომისიის ინფორმაციით, მუხაშავრიას ქმედება არ შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, რადგან მათი მხრიდან მოხდა მხოლოდ პროტესტის დაფიქსირება ტელევიზიის შენობასთან და ადგილი არ ჰქონია ტელევიზიაში შეჭრას და მისი ბლოკირების ფაქტს.

მედიანიუსი

# ხელისუფლება აფხაზეთის აღიარებას აპირებს

## ებრალი ეს საქართველო დუქანი ჰგონია

**„გადმოუგდებენ ზოგიერთ ქართველ ოპოზიციონერს ორ კაპიკს და ამით კარგ საშუალებას აძლევენ სააკაშვილს, რომ მთელი ოპოზიცია მტერთან შეკრულად მონათლოს და გაატაროს რეპრესიები. არავის სჭირდება ებრალიძის 200 მილიონი, კეთილი ინებოს და ამ გაუბედურებული ქვეყნის ბედით ვაჭრობას თავი დაანებოს“, — აცხადებს გუგავა. რომელ ქართველ ოპოზიციონერს აფინანსებს ებრალიძე, გაგრძელდება თუ არა დაკავება-დაპატიმრებები, რა უნდა გააცნობიეროს საზოგადოებამ და რას აპირებენ ლეიბორისტები? „ახალი თაობა“ ლეიბორისტული პარტიის ერთ-ერთ ლიდერს გიორგი გუგავას ესაუბრა.**

ქეთი ხომერიკი

*— რა შეფასებას მისცემთ ფოტორეპორტიორების დაკავებას და ე.წ. აღიარებით ჩვენებებს, ბატონო გიორგი?*

— მოდით, დავიწყოთ იქიდან, რომ აღიარებითი ჩვენება მსოფლიო ცივილურ სამყაროში, მოქმედ სამართალში არ ითვლება უეჭველ მტკიცებულებად და მხოლოდ აღიარებითი ჩვენების საფუძველზე არ შეიძლება პასუხისგებაში იქნეს მიცემული ადამიანი. გამამტყუნებელი განაჩენი აღიარებითი ჩვენების საფუძველზე არ დგება. ეს წმინდა სამართლებრივი თვალსაზრისით. ისე, ასეთი აღიარებითი ჩვენებები 37-იან წლებში, როდესაც მასობრივად ხვრეტდნენ ხალხს და მასობრივი რეპრესიები მიმდინარეობდა აბსოლუტურად, ყველა საქმეში დევს.

*— იმის თქმა გინდათ, რომ დღეს საქართველოში 37 წელია?*

— რა თქმა უნდა. რაც შეეხება ამ აღიარებით ჩვენებას, გეტყვით, რომ რაც მოვისმინეთ ამ აღიარებაში, ამას არანაირი დამაჯერებლობა არ გააჩნია. ერთ-ერთი ეპიზოდი ამ აღიარებითი ჩვენების გახლდათ ის, რომ თურმე აბდალაძეს დავალებული ჰქონდა ომის დროს, როდესაც უკან იხევდა ჩვენი ჯარი, გადაეღო ეს. თავი რომ გავანებოთ იმას, რომ როგორც რუსეთს, აშშ-ს და ბევრ ზესახელმწიფოს კოსმოსიდან თავისუფლად შეუძლიათ სანთებელას ოდენა ნივთის დაფიქსირებაც კი და ხედვა, ვიმეორებ, ამ ტექნოლოგიას და მასალის ამ ფორმით მოპოვებას თავი რომ დავანებოთ, ამ ჩვენდა სამწუხარო და სავალალო მოვლენას პირდაპირ ეთერში გადასცემდნენ არა მხოლოდ სააკაშვილის პროპაგანდისტული მანქანის წარმომადგენელი ტელევიზიები, არამედ მსოფლიოს წამყვანი ტელევიზიები. ამ კადრებს ნახავდით სიენენზე, ბიბისიზე, ევრონიუსზე და ა.შ. ამ დროს კი პირიქით არის, ანუ აბდალაძის გადაღებული ფოტოსურათები, რომლებიც გავრცელდა, გამძაფრებულად წარმოაჩენს რუსულ ოკუპაციას. ამდენად, სულელურია ეს. სად არის აქ ჯაშუშობა, ვერ მეტყვიან? აბსოლუტურად სხვა მოვლენასთან გვაქვს საქმე. ახლა, კიდევ, რომ არ განვაგრძოთ ამ საკმაოდ მდარე ხარისხის წარმოდგენის განხილვა, პირდაპირ გეტყვით, რომ აქ საქმე გვაქვს არა მხოლოდ პირად ანგარიშსწორებასთან, არამედ ტიპური რეჟიმების, დიქტატურული რეჟიმების დამახასიათებელ ბუნებასთან. მათ აუცილებლად სჭირდებათ მტრის ხატი, რომ ის სოციალ-ეკონომიკურ-სამართლებრივი პრობლემები, რომლებიც ქვეყანაშია დაგროვლი, იქნეს მიჩქმალული, გადატანილი მეორე პლანზე და წინა პლანზე იყოს წამოწეული სწორედ ასეთი ჯაშუშომანიის საკითხები. ამ ეტაპზე შეეცადნენ ამით გადაეფარათ ეს ყველაფერი, თუმცა გამორიცხული ისიც არ არის, რომ რაღაც პიკანტურ სიტუაციაში გადაუღეს ფოტოსურათები მათ და შეიძლება ეს პირადი ანგარიშსწორებაც იყო, მაგრამ ვიმეორებ, ძირითადი პოლიტიკური მიზანი რეჯიმის იყო ქვეყანაში არსებული პრობლემების გადაფარვა. ჩვენ მონურ მდგომარეობაში ვართ ჩაყენებული, შიმშილის ზღვარზეა ხალხი და ეს ყველაფერი, ეს პრობლემები რომ გადაიფაროს, აუცილებელია საზოგადოებრივი ინტერესის გადართვა სხვა მიმართულებით. გახსოვთ, იგივე 37-იან წლებში ექიმების საქმე, ხომ.

*— რეჟიმი ახლა უკვე უფლებადამცველებს უტევს...*

— დიახ და ეს გაგრძელდება. ასეთია დიქტატორული რეჟიმის ბუნება, მით უმეტეს, ისეთი აღვირახსნილი რეჟიმისა, როგორიც სააკაშვილისაა. ვიმეორებ, ეს აუცილებლად გაგრძელდება, შეიკრება ჟურნალისტების, პოლიტიკოსების, ექიმების საქმეებიც, დაჭერები გაგრძელდება.

*— და ყველას ჯაშუშად ხომ ვერ გამოაცხადებენ?*

— არის ასეთი წიგნი „ჯორჯო ურველის ცხოველთა ფერმა“. იქ მმართველებად ე.წ. რევოლუციური გადატრიალებით მოევლინებიან ღორები. საკმაოდ მცირე ზომის ნაწარმოებია, მაგრამ ზუსტად ასახავს დღევანდელ რეალობას. ისინი გარე ფერმაში ეძებდნენ მტერს, რომ მტრებში ემუქრებიან მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოს, ფერმას, მათ კეთილდღეობას და ამიტომ აუცილებელია აი ამის გატარება, მუშაობა, რომ უნდა გაძლიერდნენ რეჟიმის წარმომადგენლები, მათ უნდა ჰყავდეთ დაცვა, უნდა მისდიოდეთ გადასახადები, უნდა ამოკრიფონ და ა.შ. მთლიანად ასახავს მმართველობის დღევანდელ ფორმას.

*— კი მაგრამ, მსგავსი ნაბიჯების გადადგმით რას იგებს და აღწევს ხელისუფლება?*

— ეს არის შავი ზაფხული, რომელიც ყოველთვის, ამ მზაკვრების მიერ გამოყენებულია შავი საქმეების საკეთებლად. რისთვის სჭირდებათ? პირველი, საზოგადოებაში შიშის დათესვისთვის და გამყარებისთვის. მაქსიმალურად ფართო ფენებზე უნდა გაავრცელონ ეს, რომ ხმა არავინ ამოიღოს, არავინ დაუპირისპირდეს, ებრძოლოს ამ უმსგავსობას და უსამართლობას. მეორე გადაფარვა რეალური, აქტუალური პრობლემებისა და ასეთი ფორმით მართვის ბერკეტების შენარჩუნება.

*— ისიც ითქვა, რომ ქვეყანში სიტუაციის დაძაბვა სააკაშვილს თავად სურსო...*

— მართული ქაოსის ცნება არსებობს. როდესაც იღებ ისეთ ავანტიურისტულ, პროვოკაციულ გადაწყვეტილებებს, როგორსაც დღეს ესენი ახორციელებენ, რომელიც იწვევს ქაოსს, დაპირისპირებას საზოგადოებაში და ეს არის კარგად მართული ხელისუფლების მხრიდან, თავის პროპაგანდისტული და რეპრესიული მანქანით, აგენტურით და ა.შ. ერთგვარად ესეც არის. ხომ ნახეთ, წაგებული ომის შემდეგ, როდესაც ჩვენ დავკარგეთ ტერიტორიები და ჩვენდა საუბედუროდ ეს ტრაგედია, ანუ აღიარება მოხდა ამ ტერიტორიების, ეს წაგებული ომი სააკაშვილმა მოგებულად გაასაღა.

*— კულუარებში საუბრობენ ხელისუფლების მიერ აფხაზეთის ცნობაზე, ეს რამდენად მოსალოდნელია?*

— პროცესი, სამწუხაროდ, ამისკენ წავა. მოდით, გლობალურად შევაფასოთ ეს და მარტო ვიწრო თვალთახედვით და სააკაშვილის და მისი ბანდის მოქმედების შეფასებით ნუ განვიხილავთ ამ პროცესს. სამწუხაროდ, ჩვენ, როგორც ქვეყანა, სახელმწიფო ვერ შევდექით. ჩვენ დავკარგეთ დამოუკიდებლობა და ჩვენი სუვერენიტეტი. ნაწილი ჩვენი ტერიტორიებისა ოკუპაციის გზით მიტაცებული აქვს რუსეთს, ნაწილი კი იმყოფება კოლონიურ მდგომარეობაში ანგლოამერიკული იმპერიის მიერ. აქ პოლიტიკას უკვე განსაზღვრავს არა კონკრეტულად სააკაშვილი ( გლობალურ პოლიტიკას), არამედ განსაზღვრავს ანგლოამერიკული იმპერია. ესენი არიან უკვე დაქირავებული მენეჯერები, რომლებიც დიდი შემოსავლის და ძალაუფლების შენარჩუნების სანაცვლოდ, მზად არიან გაყიდონ ყველაფერი (მათთვის დუქანია ეს ქვეყანა), გაყიდონ ამ დუქანში არსებული ჩვენთვის სასიცოცხლო ინტერესები, ისევე როგორც ჩვენი არსებობისათვის აუცილებელი ეროვნული ინსტიტუტები. ამ მენეჯერის, მმართველის როლი რომ შეინარჩუნოს აქ, ყოველდღიურად ვიყიდებით, ვხურდავდებით, თანაც იაფფასიანი საქონელი გავხდით ამდენი პროვოკაციების შემდეგ. დიახ, საკმაოდ იაფ ფასებში ვიყიდებით და სანამ დაძლეული არ იქნება ამ ქვეყანაში იმპერიალისტური ვნებები, სანამ არ დავიბრუნებთ ჩვენს თავისუფლებას, სუვერენიტეტს და თვითმყოფადობას, მანამდე გველის უდიდესი საშიშროება. დიახ, საშიშროება და არა მხოლოდ იმის საშიშროება, რომ ქვეყანა მთლიანად დაიშალოს, არამედ როგორც თვითმყოფადი, საოცარი ფენომენი ერი გადაშენდეს, გადაგვარდეს და ეს არ არის პათეტიკით ნათქვამი სიტყვები, ჩვენ დიდი კულტურის ერები გვინახავს გადაშენებული, გადაგვარებული და გამქრალი.

*— ანუ დროა საზოგადოება გამოფხიზლდეს, დაირაზმოს და სასწრაფოდ გაუშვას ხელისუფლება შინ, ბატონო გიორგი?*

— საზოგადოებამ მიზანი რომ დასახოს, გამოკვეთოს, გათვითცნობიერებული უნდა ჰქონდეს, უპირველეს ყოვლისა, ის საშიშროება, რაც ემუქრება მას, მის სამშობლოს და მომავალს. რა ემუქრება ბევრს, საუბედუროდ, გათვითცნობიერებული არა აქვს. სამწუხაროდ, ამ ერში



საზოგადოების დიდი ნაწილი აღმოჩნდა მშიშარა, გამყიდველი. ამაზრზენი სანახაობაა იყო, როდესაც ვიხილეთ ღვთის ტაძარში მრევლად წოდებული იქ მიყრილი ხალხი მიშა, მიშას, რომ გაიძახოდა, აი, ეს ტრაგედიაა ერის. ეს არ არის კერძო რაღაც შემთხვევა პოლიტპიარის, არამედ ტრაგედიაა და ასეთი რამ არასდროს არსად არ მომხდარა.

*— იქ ხელისუფლებასთან დაახლოებული ადამიანები იყვნენ, რომლებიც ალბათ, არც თუ ისე ბევრნი არიან...*

— რა მნიშვნელობა აქვს, ხომ არსებობს ასეთი კატეგორია, არა. არჩევნებზე ხომ არსებობდა მდედრიონი. ასევე კატეგორია, რომელმაც შიშით, მოსყიდვით მისცა მათ ხმა და რადგანაც ასეთები არსებობენ, მათთვის ღირებული არის იმ შემთხვევაში ერთი ტომარა ფქვილი, ერთი ყუთი მაკარონი, ან ოცი ლარი, ან მეტი, ანუ რამდენიც გინდა იმდენი ლარი, ვიდრე სამშობლო.

*— არსებობენ ადამიანები, რომლებსაც ეს ხელისუფლება გულზე არ ეხატებათ, თუმცა არც ოპოზიციის იმედი აქვთ, მეტიც, გამყიდველად მიაჩნიათ... ერთი სიტყვით, ხალხი დაბნეული და დაშინებულია.*

— ჩვენ რა მოვლენაზეც გვაქვს საუბარი, ეს არის საერთო ეროვნული ტრაგედია. თავის ცოდვები აქვს ბევრ პოლიტიკოსს, ბევრი ცოდვები აიკიდა სამწუხაროდ, მაგრამ ეს იმის უფლებას არ გვაძლევს, რომ ჩამოვუშვათ ხელი. არის სუფთა ძალაც ხომ. ვიმეორებ, ეს ყველას პრობლემაა და არა მარტო პოლიტიკოსის, ან ჟურნალისტის. და საერთოდაც, პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ელიტას ქმნის საზოგადოება და იმის ანარეკლი და განსახიერებაა ეს.

*— აი, პოლიტიკური ოპოზიცია, ამ შემთხვევაში თქვენ, რას აკეთებთ იმისთვის, რომ ქვეყანაში არსებული მდგომარეობა შეიცვალოს?*

— დავიწყოთ იმით, რომ ლეიბორისტული პარტია იყო პირველი, ვინც ჯერ კიდევ 95 წელს დაინახა ის საშიშროება, რომელიც მოდიოდა სააკაშვილის და მისი გუნდის მხრიდან. ნათელაშვილი სწორედ იქიდან არის ჩამდგარი უკომპრომისო ოპოზიციაში, მაგრამ სამწუხაროდ, კრიტიკულ სიტუაციაში ჩვენმა ხალხმა არ დაგვიჯერა.

*— გასაგებია, მაგრამ რაიმე კონკრეტულ შედეგს ვერც თქვენ აყენებთ...*

— შედეგი მარტო ერთმა კაცმა როგორ დააყენოს, ზეკაცი კი არ არის, ან გოლიათი და ყოვლისშემძლე. ამ იდეების რეალიზებას, ეროვნულ-განმათავისუფლებელი იდეებისა, რომლის მატარებელიც ჩვენ ვართ, ამას ხალხის მხარდაჭერა სჭირდება, თანაც უზარმაზარი. 2003 წელს ე.წ. რევოლუცია მოხდა სწორედ იმიტომ, რომ შალვა ნათელაშვილი დაშვებული არ ყოფილიყო ხელისუფლებაში და გამოჩნდა კიდეც ეს, მაგრამ ეს ჩავლილია უკვე. ბრძოლა გრძელდება. ერთხელ არ გამოვიდა, ორჯერ არ გამოვიდა, რა, ხელები უნდა დავუშვათ? — არა. ჩვენ ბრძოლას ვაგრძელებთ და გავაგრძელებთ კიდეც.

*— სხვათა შორის, ითქვა, რომ უგულავას ამზადებენ პრეზიდენტად, ამას როგორ უნდა შეუშალოთ ხელი ლეიბორისტებმა?*

— რა თქმა უნდა, მათ გეგმები ექნებათ. იმდენად დაბინდულია მათი გონება ამ უსაზღვრო ძალაუფლებით, ამდენი ქონებით, ამდენი ნაძარცვით, ბუნებრივია, ისინი შორს ვერ იყურებიან და თვლიან, რომ მაქსიმალურად ყველაფერი უნდა გააკეთონ ძალაუფლების შესანარჩუნებლად. ისინი გადარჩენის ინსტინქტით მოქმედებენ, უნდათ, რომ შერჩეთ ამდენი დანაშაული და სისხლი, რომელიც მათ

გაგრძელება მე-5 გვერდზე

# ხელისუფლება აფხაზეთის აღიარებას აპირებს

დასაწყისი მე-4 გვერდზე

კისერზეა. ამიტომ გადარჩენის ინსტინქტით მოქმედებენ და ექნებათ გათვლები, რომ შეინარჩუნონ ძალაუფლება, მაგრამ ერთია, ისინი რას ფიქრობენ, მათ რა უნდათ, რა ავადმყოფური ამბიციები აწუხებთ და მეორეა, ჩვენი ინტერესები, სახელმწიფოს ინტერესები და ხალხის ინტერესები, რომელიც საწინააღმდეგოს ითხოვს. ყოველდღიური და აქტიური ბრძოლით უნდა შევუშალოთ მათ ხელი. დიახ, აქტიური ბრძოლით, რომ მივიყვანოთ გადამწყვეტ ბრძოლამდე, ომი უნდა მოვიგოთ. ეს გადარჩენის ომი იქნება. კვლავ ვიმეორებ, დაჭერები, რეპრესიები, შიშის დათესვა და დახოცვა გაგრძელდება. დიახ, ხალხის დახოცვაც დაიწყეს ამ სიკვდილის ესკადრონებმა, არა მარტო მიტინგებზე, არამედ ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო პირობებში ხოცავენ ხალხს. აგერ სიღნაღში ჩახოცეს ადამიანები, კახეთში ჩახოცეს ორი ახალგაზრდა. მოკლედ, დიქტატურა სწორედ მართვის ასეთ მეთოდებს იცნობს და ეს გაგრძელდება. შეიქმნება ექიმების, პოლიტიკოსების, ჟურნალისტების, რა ვიცი, მწყემსების, თერძების საქმე, მაგრამ რაც მეტია დაწოლა, მით მეტია ამომგდები ძალა. ამიტომ, თუ ჩვენ სწორად წარვმართავთ საერთო ეროვნულ ენერგიას გადარჩენისაკენ და წარვმართავთ ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში, დავამარცხებთ მათ. უდიდესი იმპერიები აქვს დამარცხებული ამ ერს და ეს ქეციანი ვინ გვიგდია?! დავამარცხებთ მას, ჩვენ აუცილებლად, გავიმარჯვებთ!

***— იმედია, სხვათა შორის, ლეიბორისტებს მოსალოცად გაქვთ საქმე, თვით ებრალიძე გამოგეხმაურათ, ბატონო გიორგი...***

— ჩვენ, როდესაც დავიწყეთ შეტევა იმ ჯგუფზე, რომელიც მოსკოვში მოღვაწეობს, განვაცხადეთ, რომ მათთვის კარგი საფუძველი გახდა საქართველო სავაჭროდ. გადმოუგდებენ ზოგიერთ ქართველ ოპოზიციონერს ორ კაპიკს, დაალებენ პირს, პირდაპირ ინტერვიუებს აძლევენ ამის შესახებ პროპაგანდისტული მანქანის წარმომადგენლებს და ამით კარგ საშუალებას აძლევენ სააკაშვილს, რომ მტრის ხატის ფორმა გააძლიეროს, მთელი ოპოზიცია პრორუსულად, მტერთან შეკრულად მონათლოს, გაატაროს რეპრესიები და გააძლიეროს დიქტატორული მმართველობა. ისინი ამით ცალკე ქულებს იწერენ კრემლთან, რომ აი, ჩვენ ქართულ ოპოზიციას ვეხმარებითო და ე.წ. ბიზნეს-პროექტებს არტყამენ, შეღავათებს იღებენ და მილიარდებს აკეთებენ. აქ კი სააკაშვილი მშვენივრად იყენებს მათ ასეთ ნამოქმედარს იმისათვის, რომ გააძლიეროს დიქტატორული მმართველობა. აი, ამ კონტექსტში ჯდება ეს პირდაპირ.

***— გამოდის, რომ ზოგიერთი ოპოზიციონერი სააკაშვილს ამაში ნებსით თუ უნებლიეთ ეხმარება... ისე, შემოთავაზებულ 200 მილიონზე რას უპასუხებდით ებრალიძეს, ბატონო გიორგი?***

— დიახ, აი, ამაში ჯდება ეს ყველაფერი პირდაპირ. როგორც ჩანს, ამ ადამიანს ცნობიერება ისე აქვს ჩამოყალიბებული, რომ თვლის, ფულით ყველაფრის ყიდვა შეიძლება და ეს ქვეყანა მასაც დუქანი ჰგონია. არავის სჭირდება მისი 200 მილიონი და კეთილი ინებოს, ამ გაუბედურებული ქვეყნის ბედით ნუ ვაჭრობს. ვიმეორებ, ნუ ვაჭრობს ამ გაუბედურებული ქვეყნით, არავის სჭირდება მისი ფული.

***— ქართული ოპოზიციური სპექტრიდან ვის აფინანსებს ალიკა ებრალიძე, შემთხვევით კახა კუკავას ხომ არა?***

— არ ვიცი... ხმამაღლა აკეთებენ განცხადებებს, რაც საფუძველია ვანოს რეპრესიული მანქანისათვის, რომ ყველა ჯაშუშებად მოგვნათლოს. ამას აკეთებენ ეს ებრალიძე, ხუბუტია და მისნაირები იქ. თვითონ განცხრომით ცხოვრობს და აგრძელებს აქ ჩვენი ბედით ვაჭრობას. თუ ამ ქვეყანას არ ეხმარება, თავი მაინც დაანებე!

# რა შედეგს გამოიღებს ილია II-ის შეხვედრა რუსეთის პატრიარქთან

თეა მარხვაი ე

**საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია II უკრაინაში გაემგზავრა, სადაც თავის რუს კოლეგა კირილს შეხვდება. ამ შეხვედრას სასულიერო წრეებში დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ. ამ შეხვედრას მნიშვნელოვნად მიიჩნევს ჩვენი პატრიარქიც. მან კვირას მრევლს სთხოვა, ილოცონ, რათა მისი და რუსეთის პატრიარქის შეხვედრა შედეგით დასრულდეს.**



ამ შეხვედრას საქართველოს მოსახლეობაც მოუთმენლად ელოდება. ხალხს სჯერა, რომ თუ ვინმეს შეუძლია რუსეთთან კონფლიქტის მოგვარება, ეს ჩვენი პატრიარქია. ისევე, როგორც საქართველოში, ილია II-ს რუსეთშიც დიდ პატივს სცემენ და არა მხოლოდ რიგითი მოქალაქეები, არამედ რუსეთის ხელისუფლების წარმომადგენლებიც. ჩვენს ხელისუფლებას ესეც სერიოზულად აღიზიანებს.

ალბათ, ამით არის გამოწვეული, რომ ჩვენი ხელისუფლება პატრიარქის უკრაინაში ვიზიტთან დაკავშირებით არანაირ კომენტარს არ აკეთებს. რუსეთისა და საქართველოს პატრიარქები ერთმანეთს სწორედ კიევში შეხვდებიან.

ჩვენს ხელისუფლებას ვერავინ დააბრალებს, რომ ისინი ამ შეხვედრის შესახებ საქმის კურსში არ არიან. ლამისაა სიზმრები გააკონტროლონ და ამ ინფორმაციასაც როგორმე გაიგებდნენ, თანაც ამის შესახებ განცხადება ერთი კვირის წინ გაკეთდა. წინა კვირაში გაირკვა, რომ პატრიარქების შეხვედრა 26 ივლისს შედგებოდა.

გუშინ ამასთან დაკავშირებით საგარეო საქმეთა სამინისტრომ არანაირი კომენტარი არ გააკეთა. უფრო ზუსტად, თქვეს, რომ პატრიარქების შეხვედრის შესახებ ინფორმაცია არა აქვთ.

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი თანმხლებ პირებთან ერთად კიევში გუშინ დილით გაფრინდა ჩარტერული რეისით. გამგზავრების წინ უწმინდესმა ჟურნალისტებთან მცირე კომენტარი გააკეთა.

უწმინდესმა აღნიშნა, რომ კიევში ვიზიტით მიემგზავრება, სადაც შეხვდება რუსეთის პატრიარქს და საქართველოსთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ისაუბრებს.

კათოლიკოს-პატრიარქი უკრაინაში კიევის რუსეთის გაქრისტიანებასთან დაკავშირებით საზეიმო ღონისძიებებში მიიღებს მონაწილეობას.

უკრაინაში ვიზიტის დროს ილია II შეხვდება უკრაინის პრეზიდენტსა და პარლამენტის თავმჯდომარეს. დღეს კი ჩვენი პატრიარქი რუსეთის პატრიარქ კირილს შეხვდება. შეხვედრა კიევის პეჩორის ლავრაში შედგება.

ვიზიტის პროგრამის ფარგლებში 28 ივლისს, კიევის რუსეთის გაქრისტიანებისა და მოციქულთა სწორის დიდი კნიაზის ვლადიმირის ხსენების დღეს, კიევის პეჩორის ლავრაში სადღესასწაულო წირვა გაიმართება, სადაც უკრაინის მიტროპოლიტი ვლადიმირი, რუსეთის პატრიარქი კირილი და საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ერთობლივად საღვთო ლიტურგიას გამართავენ.

ცოტა ხნის წინ ილია II-მ განაცხადა, რომ ის აფხაზეთში აპირებდა ჩასვლას. გავრცელებული ინფორმაციით, ეს ვიზიტი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის შემდეგ უნდა შემდგარიყო. თუმცა, რიგი მიზეზების გამო ილია II აფხაზეთში მაშინ ვერ ჩავიდა.

დღევანდელი შეხვედრის შემდეგ შესაძლოა ამ მიმართულებით ბევრი რამე შეიცვალოს. დღეს ილია II პატრიარქ კირილს აფხაზეთში ვიზიტის შესახებაც ესაუბრება.

— საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი ილია მეორე და მოსკოვისა და სრულიად რუსეთის პატრიარქი კირილი კიევში დაგეგმილი შეხვედრისას საქართველოს პატრიარქის აფხაზეთში ჩასვლის საკითხსაც განიხილავენ, — განუცხადა ჟურნალისტებს საპატრიარქოს პრესსამსახურის ხელმძღვანელმა მამა დავით შარაშენიძემ.

მისივე თქმით, ასევე შეხვედრის თემა იქნება აფხაზეთში მიმდინარე საეკლესიო პროცესები და აფხაზეთსა და სამაჩაბლოში საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის იურისდიქციის აღდგენისა და რელიგიური მისიის განხორციელება.

აფხაზეთსა და სამაჩაბლოსთან დაკავშირებით ჩვენმა პატრიარქმა კვირასაც ისაუბრა. მისი თქმით, რუსეთისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიები ორი ერის დასაახლოებლად ბევრის გაკეთებას შეძლებენ.

ილია II-მ კმაყოფილება გამოთქვა რუსეთის საპატრიარქოს პოზიციის გამო.

— საქართველო მაღალ შეფასებას აძლევს იმ სიბრძნეს, რომელიც რუსეთის მართლმადიდებელმა ეკლესიამ გამოიჩინა, როდესაც აფხაზეთსა და ცხინვალში ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიას იურისდიქცია შეუნარჩუნა. ვფიქრობ, ჩვენი ეკლესიები ჩვენი ერების დასაახლოებლად კიდევ უფრო მეტის გაკეთებას შეძლებენ. რუსი და ქართველი ერი, ბოლოს და ბოლოს, აუცილებლად მივა ერთმანეთთან, — განაცხადა ილია II-მ.

აღსანიშნავია, რომ ეს ილია II-ისა და პატრიარქ კირილის რიგით მეორე შეხვედრაა. ისინი ერთმანეთს პირველად 2009 წლის 6 ნოემბერს ბაქოში შეხვდნენ, სადაც კავკასიის მუსლიმთა სულიერი ლიდერის ალაჰ შუქურ ფაშა ზადეს საიუბილეო ღონისძიებები იმართებოდა.

მათი შეხვედრა შეიძლებოდა უფრო ადრეც შემდგარიყო, მაგრამ არ გამოვიდა. ჩვენმა პატრიარქმა კირილის ინტრონიზაციაზე დასწრება ძალიან სერიოზული მიზეზების გამო ვერ შეძლო.

მაშინ ამას ჩვენში ბევრი ჭორი მოჰყვა. ამბობდნენ, ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა იმისათვის, რომ ილია II მოსკოვში არ წასულიყო. ერთ-ერთი ვერსიით, უწმინდესი მაშინ მოწამლეს კიდევაც. არადა, როგორც ამბობენ, მაშინ პატრიარქი რუსეთის ხელისუფლების პირველ პირებს უნდა შეხვედროდა და თითქმის გადაწყვეტილი ყოფილა ახალგორის რაიონის საქართველოსთვის დაბრუნება.

ახალგორის დაბრუნება ცოტა დაუჯერებლად ჟღერს, თუმცა, არაფერი გამორიცხული არ არის. თუ გავითვალისწინებთ პერევის ისტორიას, ალბათ, ყველას კარგად გვახსოვს, პირველად როდის დაგვიბრუნა რუსეთმა ეს სოფელი. ეს მაშინ მოხდა, როცა ჩვენი პატრიარქი რუსეთის პირველ პირებს შეხვდა. მაშინ ილია II რუსეთში მათი პატრიარქის ალექსეი II-ის გარდაცვალების გამო ჩავიდა.

ილია II მაშინ რუსეთის პირველ პირებსაც შეხვდა. სწორედ იქ გადაწყვეტილა საქართველოსთვის საჩხერის რაიონის სოფელ პერევის დაბრუნება. აქ რუსები და ოსები აგვისტოს ომის შემდეგ შევიდნენ.

რუსებმა პირობა მართლაც შეასრულეს და სოფელი დატოვეს. ჩვენს ხელისუფლებას სოფელი პირობისამებრ შეუმჩნევლად უნდა დაეკავებინა, თუმცა, ჩვენებურებს ეგღა აკლდათ, ეს ამბავი პიარისთვის არ გამოეყენებინათ. ისეთი სცენა დადგეს, ერი ცრემლიანი თვალებით ისმენდა, როგორ გაყარეს ჩვენმა ჯეელებმა რუსი სპეცრაზმელები.

ვინ გაცალა სიხარული. ეს ჩვენებური პიარი რუსებს არ მოეწონათ და ისევ უკან შემობრუნდნენ. მართალია, იქიდან რამდენიმე თვის წინ ისევ გავიდნენ, მაგრამ მაშინ ეს ამბავი ჩაიშალა.

ჩვენმა ხელისუფლებამ კი დღემდე არ აღიარა, რომ პერევის დაბრუნება ჩვენი პატრიარქის დამსახურება იყო.

როგორც უკვე ვთქვით, პატრიარქების დღევანდელ შეხვედრაზე დიდი იმედი მყარდება. იმის ილუზია არავის აქვს, რომ ამის შემდეგ რუსეთი წართმეულ ტერიტორიებს უკან დაგვიბრუნებს. მართალია, რუსეთის საპატრიარქო აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობას არ აღიარებს, მაგრამ ეს ბევრს არაფერს ნიშნავს.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პატრიარქების შეხვედრაზე აფხაზეთში არსებულ ვითარებასაც განიხილავენ. აქაურ ეკლესიაში დიდი განხეთქილება მოხდა. ამის შესახებ „ახალი თაობა“ საკმაოდ ბევრს წერდა. აფხაზური ეკლესია დღეს, ფაქტობრივად, ორად არის გაყოფილი.

ამის მიზეზი კი კირილის გადაწყვეტილება გახლავთ. ყველასთვის ცნობილია, რომ, ბესარიონ აპლიას წარდგინებით, რუსეთის პატრიარქმა ახალი ათონის მონასტრის წინამძღვრად რუსი სასულიერო პირი დანიშნა.

ამას ახალი ათონის მონასტერში დიდი განხეთქილება მოჰყვა. ახალგაზრდა სასულიერო პირებმა დიდი საეკლესიო-საერო კრება მოიწვიეს და ახალი საეპისკოპოსო შექმნეს.

დღეს აფხაზური ეკლესიის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი მეტ-ნაკლებად ჩაცხრა. სამაგიეროდ ახლა ჩვენი ეკლესიის გარშემოა ატეხილი დიდი ამბები. ხელისუფლებას რომ ეკლესიის ავტორიტეტი ნერვებს უშლის, ყველამ იცოდა. ისინი თავიანთ უკმაყოფილებას სხვადასხვა ფორმითა და სხვადასხვა დროს ამჟღავნებდნენ. ახლა კი ცოტა ზედმეტი მოუვიდათ. პარლამენტის მიერ მიღებული კანონი დღემდე რჩება მითქმა-მოთქმის მიზეზად. დიდი ვნებათაღელვაა ატეხილი 11 ივლისს გამართულ წმინდა სინოდის სხდომასთან დაკავშირებითაც.

საქართველოს საპატრიარქომ რამდენიმე დღის წინ პარლამენტის მიერ რელიგიური გაერთიანებების სტატუსთან დაკავშირებით მიღებულ გადაწყვეტილებაზე წმინდა სინოდის პოზიციის შესახებ 24 ივლისს საგანგებო განცხადება გაავრცელა.

განცხადებაში ნათქვამია, რომ ბოლო დროს საზოგადოებაში ვრცელდება ხმები, თითქოს რელიგიის შესახებ ახლად მიღებულ კანონთან დაკავშირებით სინოდის წევრთა აზრი გაიყო და ამიტომ ეკლესიამ უკან დაიხია, რაც სინამდვილეს არ შეესაბამება. ეკლესია ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ არსებულ ვითარებაში მორწმუნეების, ერის სამართლიანი უფლებები დაიცვას. ჯერი ახლა ხელისუფლებაზეა. წმიდა სინოდის მიმართვიდან გამომდინარე, საპატრიარქო ელოდება ქმედით დადებით ნაბიჯებს.

— აღნიშნულ კანონთან დაკავშირებით თავისი უარყოფითი პოზიცია წმინდა სინოდმა ერთხმად დააფიქსირა. ამასთან, ამ ეტაპზე აირჩია ის გზა, რომელიც ხელისუფლების მხრიდან დამცავი მექანიზმების შექმნას ითვალისწინებს და თავისი გადაწყვეტილებები სინოდის განჩინებაში დააფიქსირა. ესეც მღვდელმთავართა საერთო შეთანხმების შედეგი იყო. კენჭისყრის შესახებ გავრცელებული ხმები კი სხვა თემას უკავშირდება. ხელისუფლების წარმომადგენლებთან პირველი მოსამზადებელი შეხვედრა უკვე შედგა. ვიმედოვნებთ, მომდევნო შეხვედრებიც მალე მოხდება და შედეგიანი იქნება. ჩვენი მხრივ, საზოგადოებას დროულად ჩავაყენებთ საქმის კურსში მიმდინარე პროცესებთან დაკავშირებით, — ნათქვამია განცხადებაში.

აქვე აღნიშნულია, რომ ეკლესიის პოზიციების დაცვა გრძელდება, რაც, იმავე დროს, ქვეყნის ინტერესების დაცვაც არის.

— ეს, ამავე დროს, არის ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა, რადგან მართლმადიდებელმა სარწმუნოებამ ჩამოაყალიბა და შეინარჩუნა ერთიანი ქართული ქრისტიანული სახელმწიფო, რაც გულისხმობს როგორც უნიკალური ქართული კულტურისა და ქართველი ადამიანის ცხოვრებისა და აზროვნების წესის განსაზღვრას, ისე საქართველოში მცხოვრები სხვა ერისა და სარწმუნოების წარმომადგენლებისადმი ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული კეთილმეზობლური და მეგობრული დამოკიდებულების ჩამოყალიბებას. დიახ, ჩვენი ქვეყნის ინტერესების დაცვა არის სხვა რელიგიის წარმომადგენელთა უფლებების დაცვაც, რასაც ყოველთვის მხარს ვუჭერდით და პოზიციას ამის შესახებ მუდამ ვაფიქსირებდით, მაგრამ ეს არ უნდა მოხდეს ქვეყნის უდიდესი უმრავლესობის — მართლმადიდებელი ქრისტიანების სამართლიანი მოთხოვნების დისკრიმინაციის ხარჯზე, — ნათქვამია საპატრიარქოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

ეკლესიაში არსებულ ვითარებასთან დაკავშირებით თავად უწმინდესმაც ისაუბრა.

— წმინდა მამები ამბობენ, რომ ადამიანი, რომელიც ცდილობს, მოახდინოს განხეთქილება, მოწამეობრივი სისხლითაც კი ვერ განიწმინდება, რადგან ეს საშინელი ცოდვაა, — აღნიშნა პატრიარქმა.

უწმინდესმა გუშინდელი ქადაგების დროს რამდენიმე დღის წინ გამართულ წმინდა სინოდის სხდომასთან დაკავშირებით კიდევ ერთხელ ისაუბრა.

— რამდენიმე დღის წინ ჩატარდა წმინდა სინოდის სხდომა. ვმსჯელობდით იმ ურთიერთობაზე, რომელიც უნდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის. იქ უნდა გამოთქმულიყო ერთი ექსპერტის აზრი, თუმცა, მღვდელმთავრების აზრი გაიყო, იყო თუ არა საჭირო ამ ადამიანის აზრის მოსმენა. ეს იყო ჩვეულებრივი მოვლენა, თუმცა, მოგვიანებით ამ ადამიანებს, რომლებიც არ იყვნენ უმრავლესობის აზრის, მოღალატეები უწოდეს. ეს ყოვლად დაუშვებელია. მინდა გითხრათ, როგორც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, რომელიც 33 წელია, ღვთის მადლით, ვიმყოფები პატრიარქის ტახტზე, მე არ შემხვედრია მოღალატე სასულიერო პირი, მოღალატე ეპისკოპოსი. ამიტომ ფრთხილად უნდა იყოთ და ამისთანა ცოდვა არ აიღოთ საკუთარ თავზე. საქართველოს ეკლესია და წმინდა სინოდი იყო და დარჩება ერთი სხეული, ერთი ძალა და ჩვენ ამ სულისკვეთებით გავაგრძელებთ ჩვენს სამსახურს, — ბრძანა უწმინდესმა.

პატრიარქის განცხადებით, ზოგიერთი ისეთ უპასუხისმგებლო სიტყვებსაც ამბობდა, რომ შეიძლება ეკლესიაში განხეთქილება მოხდეს.

# სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი-საქართველო“

თიბისი ბანკი
TBC BANK

# „ერთა ხმა" 10 ქვეყანას გააერთიანებს

ეკა ირემაშვილი

28 ივლისიდან 3 აგვისტოს ჩათვლით საქართველოში საერთაშორისო ქორეოგრაფიული ფესტივალი „ერთა ხმა" გაიმართება, რომელშიც საქართველოს გარდა, 10 ქვეყნის ხალხური შემოქმედებითი კოლექტივი მიიღებს მონაწილეობას.

ღონისძიების ორგანიზატორები საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტური თვითმმართველობა არიან. ფესტივალის მხარდაჭერაზე კი საქართველოს ტექნიკურმა უნივერსიტეტმა, აჭარის სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა დეპარტამენტმა, ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნულმა ცენტრმა და ბათუმის მერიამ იზრუნეს. საერთაშორისო სტუდენტური ფოლკლორული ფესტივალი „ერთა ხმა" საზეიმო ვითარებაში ბათუმში გაიხსნება და ხუთი დღე გაგრძელდება. დღესასწაული 5 დღე გაგრძელდება და ბათუმის გარდა ქუთაისსა და ზუგდიდშიც ჩატარდება. ფესტივალის ორგანიზებაში ქართულ მხარეს მსოფლიო ფოლკლორის ასოციაციაც აქტიურად დაეხმარა.

ბათუმი გასულ წლებში მასპინძლობდა ქართული ფოლკლორის ფესტივალს, რომელსაც „ერის ხმა" ერქვა, ეს ფესტივალი სულ ორჯერ ჩატარდა. „ერის ხმა" თავის ერთგულ მაყურებელს არც ამჯერად დატოვებს უყურადღებოდ და სექტემბერში მორიგ ფესტივალს ჩაატარებს. „ერის ხმა" სტუდენტურმა თვითმმართველობამ შიდა მასშტაბებით ჩაატარა და შედეგით იმდენად კმაყოფილი დარჩა, რომ მისი შეჩერების საკითხზე არც კი უფიქრია. უკვე გადაწყვეტილია, რომ ფესტივალი „ერის ხმა" მოძრავი იქნება და იგი ეტაპობრივად საქართველოს ყველა რეგიონს მოივლის.

საერთაშორისო ფოლკლორულ ფესტივალს „ერთა ხმა" აქტიურ რეკლამას უკვე უწევენ მედიასივრცეში. ინტერნეტსივრცეში კი მისი გაპიარება ჯეოსტარელ ზვიად ამყოლაძეს, იგივე დნნ-დშნ-ს ანდეს. როგორც ღონისძიების ორგანიზატორები აღნიშნავენ, საქართველოში მსგავსი მასშტაბური ღონისძიება არ ჩატარებულა. ჩვენს ქვეყანას 10 ქვეყნის ფოლკლორული ჯგუფი ეწვევა და თითოეული მათგანი სტუდენტებით იქნება დაკომპლექტებული. საქართველოს ესტუმრებიან ფოლკლორული ჯგუფები სომხეთიდან, ბელორუსიდან, თურქეთიდან, უკრაინიდან, ესპანეთიდან, იტალიიდან, საბერძნეთიდან, ბულგარეთიდან, პოლონეთიდან, კორეადან. „ერთა ხმის" საშუალებით სტუდენტური შემოქმედება მაქსიმალურად თვალნათლივ იქნება წარმოდგენილი.

პირველი საერთაშორისო ფესტივალის გახსნას მისი ორგანიზატორები მასშტაბურად და გრანდიოზულად გეგმავენ. დაგეგმილია ბათუმის ცენტრალური ქუჩის გადაკეტვა, ფესტივალის მონაწილეები თავიანთ ნაციონალურ სამოსში გამოეწყობიან და ქუჩაში ქვეყნის დროშებითა და მუსიკის თანხლებით გაივლიან.

მთლიანად ფესტივალში 350-მდე ადამიანია ჩართული. ისინი ფესტივალის სულისჩამდგმელთა გადაწყვეტილებით ანაკლიის პატრიოტულ ბანაკში დაბინავდებიან და ფესტივალის განმავლობაში იქ იცხოვრებენ.

საქართველოს სამივე ქალაქში საფესტივალო ეგიდით დაგეგმილ კონცერტებზე ორგანიზატორები მაყურებლის მაქსიმალურ რაოდენობას ელოდებიან. რაც შეეხება ქართულ ფოლკლორულ ანსამბლებს, ისინი მაყურებლის წინაშე პირველ აგვისტოს გამოვლენ. სიმბოლურია, რომ ფესტივალის საზეიმო დახურვის პატივი ქართულ ანსამბლს ექნება, ესენი კი სუხიშვილები იქნებიან.

საერთაშორისო ფოლკლორული ფესტივალი „ერთა ხმა" ახალგაზრდებში ფოლკლორის პოპულარიზაციას ემსახურება. ფოლკლორის მიმართ ინტერესი სტუდენტებში საკმაოდ დიდია. ამ ფესტივალში ძირითადად ახალგაზრდულ-სტუდენტური ფოლკლორული ანსამბლები მონაწილეობენ, რომლებიც ამ ფესტივალამდეც მოღვაწეობდნენ. ფესტივალამდე მათ საზოგადოება ნაკლებად იცნობდა, „ერთა ხმის" საშუალებით კი ისინი პოპულარულები გახდნენ, ამიტომ ორგანიზატორები გაჩერებას არ აპირებენ და წლიდან წლამდე ორივე ფესტივალის მაქსიმალურად დახვეწა და მისი ფართობების გაზრდა იგეგმება.

# ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი მესამედ ჩატარდება

ეკა ირემაშვილი

ანიმაციური ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი „თოფუზი 2011" წელს ისევ ბათუმში ჩატარდება და საუკეთესო ანიმატორებს სხვადასხვა ნომინაციებში დაასახელებს. საფესტივალოდ ფილმების მიღება უკვე დაწყებულია.

— ნებისმიერ ანიმატორს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ფესტივალ „თოფუზში", რომელსაც წელსაც ბათუმი უმასპინძლებს. 30 აგვისტოდან დაიწყება ფილმების სელექცია და დაახლოებით ერთ თვეში გვეცოდინება, რამდენი ფილმი ჩაერთვება წლევანდელ ფესტივალში, — აცხადებს ფესტივალის ორგანიზატორი ზურაბ დიასამიძე.

„თოფუზის" ორგანიზატორები ანიმატორებს, რეჟისორებსა და პროდიუსერებს კონკურსში მისაღებად იწვევენ.

— პირველად საქართველოში ა.წ. 24-27 აპრილს, „ანიმაციის განვითარების ფონდის" ეგიდით, ჩავატარეთ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი „ბიმინი 2008" ბათუმში. ოთხი დღის განმავლობაში ფესტივალს 6.000-ზე მეტი სტუმარი ეწვია, რომელთაგან ძირითადი მაყურებელი ბავშვები იყვნენ. ფესტივალის მიმართ ინტერესი იმდენად დიდი აღმოჩნდა, რომ ხშირად ბავშვების რაოდენობა კინოთეატრის დარბაზის ტევადობას აღემატებოდა და მათი განთავსება კიბეებზეც კი გვიხდებოდა. გაჩნდა იდეა გაგვეკეთებინა ფესტივალი „ექო", რათა საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში მცხოვრებ ბავშვებს მიეცეთ საშუალება, კინოთეატრის ეკრანებზე იხილონ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ანიმატორთა მიერ შექმნილი ფილმები. აგვისტოს ცნობილი მოვლენების გამო, პირველი „ექო ბიმინის" ჩატარება, შიდა ქართლის რეგიონში, კერძოდ კი, გორში გადავწყვიტეთ. ვფიქრობ, ეს შიდა ქართლის რეგიონის ბავშვებისთვის განსაკუთრებით კარგი საჩუქარი იყო, — განმარტავს ანიმაციის განვითარების ფონდის დირექტორი ზურაბ დიასამიძე.

მიუხედავად იმისა, რომ ანიმაციური ფილმების მესამე საერთაშორისო ფესტივალი 2-დან 5 ნოემბრამდე ჩატარდება, მისი ორგანიზატორები მზადების აქტიურ ფაზაში უკვე გადასულები არიან. ფესტივალზე დაწესებულია სხვადასხვა ნომინაციები, რომელშიც საუკეთესოები გამოვლინდებიან. რჩეულები დასახელდებიან ნომინაციებში საუკეთესო ქართული ფილმი, საუკეთესო ფილმი უფროსებისათვის, საუკეთესო საბავშვო ფილმი, საუკეთესო დებიუტი, საუკეთესო ექსპერიმენტული ფილმი, საუკეთესო სერიალი, საუკეთესო ინტერნეტ ფილმი, ხოლო რჩეულთა შორის რჩეული კი „გრანპრის" მფლობელი გახდება.

— საუკეთესო ინტერნეტ ფილმი შეირჩევა ვებ-საიტ „მაივიდეო.ჯის" ვიზიტორების მიერ. აღნიშნულ საიტზე ფილმები გამოქვეყნდება 4 ოქტომბრიდან 4 ნოემბრამდე. არ გამოტოვოთ შესაძლებლობა თავად გახდეთ ჟიურის წევრი — თქვენი ხმა ძალიან მნიშვნელოვანია. უბრალოდ უყურეთ ფილმს და სურვილისამებრ მიეცით ხმა, — გვირჩევს ზურაბ დიასამიძე.

ფესტივალის გარშემო დამატებითი ინფორმაციის მიღება ნებისმიერ მსურველს სპეციალურ საიტზე შეუძლია, სადაც ფესტივალის წესები და ონლაინ აპლიკაციაა განთავსებული. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა ნებისმიერმა მსურველმა გაგზავნოს ფილმი დივიდი მატარებლის მეშვეობით.

— „თოფუზი 2011" — ეს არის ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალი, სადაც ნებისმიერ ანიმატორს, რეჟისორსა და პროდიუსერს შეუძლია წარმოადგინოს საკუთარი ნაშრომი. მისი მიზანია ხელი შეუწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლას, ახალი იდეების ძებნასა და ქართული ანიმაციის ინტეგრაციას მსოფლიოს კინოს სამყაროში. თავისი ფორმატიდან გამომდინარე, ფესტივალი გულისხმობს ფილმების ჩვენებებსა და მათ შემდგომ განხილვას. ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული დაუვიწყარი და სასიამოვნო საღამოები ხელს შეუწყობს ახალი მეგობრობისა და კონტაქტების ჩამოყალიბებას, — აღნიშნავს ფესტივალის ორგანიზატორი.



ფესტივალის ორგანიზატორები არიან ანიმაციის განვითარების ფონდი და კომპანია „მი ფა სი". ფილმის საკონკურსოდ გაგზავნის ბოლო ვადა 31 აგვისტოა.

— ანიმაციის განვითარების ფონდი 2008 წლიდან ქალაქ ბათუმში ტრადიციულად შემოდგომაზე ატარებს ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალს სახელად „თოფუზი". რატომ თოფუზი? იმიტომ, რომ ამასთან დაკავშირებით არსებობს ლეგენდა: დიდი ხნის წინ, აჭარაში იყო ადამიანი, რომელიც იწონიდა 120 კილოგრამს და, მიუხედავად ამისა, საოცრად ცეკვავდა ფეხის ცერებზე. ამ სანახაობას მაყურებელი მოჰყავდა დიდ აღტაცებაში. მოცეკვავეს ეძახდნენ „თოფუზს". თოფუზი იქცა ფესტივალის ლოგოდ და მისი სახე ყოველწლიურად იცვლება. 2008, 2009 და 2010 წლების ლოგოების ნახვა შეგიძლიათ ჩვენი გვერდის პროფილის ფოტოალბომში. კონკურსი ტარდება ორ ასაკობრივ ჯგუფში — თოფუზი-ლოგო და თოფუზი-ჩილდრენ (13 წლამდე ასაკის ბავშვებისათვის), — აცხადებს ფესტივალის დირექტორი ზურაბ დიასამიძე.

ფესტივალზე საკონკურსოდ წარდგენილი ნამუშევრების მიღების შემდეგ, ორგანიზატორთა მიერ მოხდება მათი სელექცია და სექტემბრის დასაწყისში უკვე ფესტივალში მონაწილეთა სია ოფიციალურად გამოქვეყნდება. კონკურსის სიახლეები დაიდება ფეისბუქზეც, სადაც მის მომხმარებელს ექნება საშუალება ხმის მიცემის ფორმით გამოავლინოს გამარჯვებული.

— პოსტსაბჭოთა პერიოდის შემდეგ კინემატოგრაფიის ანიმაციური ჟანრი დაუმსახურებლად მივიწყებული იყო საქართველოში. 2007 წლის 8 ნოემბერს დაარსდა ანიმაციის განვითარების ფონდი, რომელმაც სრული პასუხისმგებლობა აიღო კინემატოგრაფიის ამ ჟანრის აღორძინებასა და პოპულარიზაციაზე. ამ მიზნის მისაღწევად ფონდმა გაატარა შემდეგი ღონისძიებები — თანამშრომლობს ერთ-ერთ წარმატებულ ქართულ ანიმაციურ სტუდიასთან „მიფასი ფილმთან" და ეხმარება პროექტ „მსოფლიო ხალხთა ზღაპრების" განხორციელებაში, სადაც გაერთიანებულია საქართველოში ანიმაციის სფეროში მოღვაწე თითქმის ყველა კინემატოგრაფი. კინო დარგის ანიმაციური ჟანრის საქართველოში განვითარებისა და მისი ინტეგრაციისათვის მსოფლიო ანიმაციის სამყაროში, ფონდმა 2008 წლის აპრილში საქართველოში მოიწვია ბალტიისპირეთის ქვეყნებში ყველაზე მასშტაბურ და მსოფლიოში ცნობილ ანიმაციური ფილმების საერთაშორისო ფესტივალ „ბიმინი". ჩვენ ხელს ვუწყობთ ანიმაციის სფეროში მოღვაწე პროფესიონალებს, რომ გაემგზავრონ საერთაშორისო ანიმაციურ ფესტივალებზე და უცხოურ ანიმაციურ სტუდიებში, რათა ისინი ახლოს გაეცნონ

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ფოთისა და ხობის მიტროპოლიტ გრიგოლის კურთხევით 2009 წლის ივლისიდან მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები

პროექტის ფარგლებში შესაძლებელი გახდა ტაძრის შიგნით და ეზოში ჩაგვეტარებინა არქეოლოგიური გათხრები. ახალმა აღმოჩენებმა შეცვალა ტაძრის ისტორია. ის, რაც ისტორიულად ცნობილი იყო, დღეს ფაქტითაც დასტურდება — აღმოჩენილ იქნა პირველი ტაძრის საძირკველი და წმიდა ცოტნე აღმსარებლის საოჯახო საძვალე. არქიტექტორების, ხელოვნებათმცოდნეებისა და ისტორიკოსების ჯგუფი მუშაობს ამ საკითხების შესწავლაზე. პარალელურად ბატონ ბუბა კუდავას (ხელნაწერთა ეროვნული ცენტრის დირექტორი) ხელმძღვანელობით გამოსაცემად მზადდება წიგნი „ხობის მონასტერი".

ტაძარში დამონტაჟდა ახალი კანკელი, იწერება ახალი ხატები, გამოიცვალა სარკმლები, დასრულდა იატაკის ფილების დაგება; მიმდინარეობს საპატრიარქო რეზიდენციის მშენებლობა. ტაძარსა და რეზიდენციაში დამონტაჟდა გათბობის სისტემა.

მზადდება პროექტი წმიდა ცოტნე აღმსარებლისა და მისი ოჯახის წევრების საძვალის მოსაწყობად.

დასამზადებელია საეკლესიო ავეჯი; შესაცვლელია განათების სისტემა, ტაძრის ძირითადი კარები.

იმისათვის, რომ შევძლოთ დაწყებული სამუშაოების დასრულება, გვჭირდება თანადგომა.

გახდით მონასტრის მეგობარი.

გვჯერა, თქვენი თანადგომით შევძლებთ გავუფრთხილდეთ წინაპართა დანატოვარს და თავად გავხდეთ ღირსეული წინაპარი.

იცხოვრეთ მომავლისთვის.

უფალი გფარავდეთ ყველგან და ყოველთვის.




**საბანკო რეკვიზიტები:**

ფოთისა და ხობის ეპარქია, ს/ნ 215 090 425
ხობი, სოფ.ნოჯიხევი
ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტერი.
ს.ს. „ლიბერთი ბანკის" ხობის ფილიალი
ბ/კ: 220 101 465
ანგ. N 36 010 892 GEL;
136 180 892 USD;
236 180 892 EUR



თანხის ჩასარიცხად შეგიძლიათ გამოიყენოთ სწრაფი გადახდის აპარატები: იხილეთ მენიუში — სხვადასხვა — საქველმოქმედო — ხობის მონასტერი.

ან დარეკოთ: მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი — 700 607; ქსელები — 700 608; სილქნეტი — 608 608 (ზარის ღირებულებაა 1 ლარი).

ხობის ღვთისმშობლის ხარების დედათა მონასტრის წინამძღვარი იღუმენია ანა (მუსელიანი)

## განცხადებები

● ინგლისურ ენას ვასწავლი ყველა ასაკის მსურველს ტრადიციული მეთოდით, ნელი ტემპით, მაღალ სამეცნიერო დონეზე, ათვისების დაბალუნარიანებსაც. ტელ: 295-32-12.

● იყიდება 3-ოთახიანი იზოლირებული ბინა პრესტიჟულ სახლში, მარჯანიშვილის მოედანზე, სამისდღემშიო რჩენის საწყისებზე. ტელ: 295-32-12.

● იყიდება, მცხეთის რაიონის სოფელ ვაზიანში (თბილისიდან 30 კმ-ში), 2000 კვ.მ. საკარმიდამო მიწის ნაკვეთი ხეხილით, სასმელი და სარწყავი წყლით (შეიძლება ნაწილ-ნაწილად). 1 კვ.მ.-ის ფასი 2 დოლარი. ტელ: 8790 53-02-41; 253-15-87.

● იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის, შარდვის პრობლემების (გახშირებული, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი ენურიზი ბავშვებში და მოზრდილებში) მკურნალობა უნიკალური მცენარეული პრეპარატებით, 100%-იანი შედეგით. ტელ: 599-25-44-14 ან 234-02-38 ექიმი ქ-ნი მზია.

● ალკოჰოლიზმისგან სწრაფი განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნევროზების, შიშების, უძილობის, დეპრესიის მკურნალობა, ორგანიზმის გაწმენდა მცენარეული პროდუქციით, შედეგები 100%-იანია. ტელ: 599-25-44-14; 599-25-44-14 ექიმი ქ-ნი მზია.

● იყიდება 2-სართულიანი კერძო სახლი მეტრო „ვარკეთილთან" (50 მეტრში). ტელ.: 273-35-63; 593 93 40 36 ლიკა.

● ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისაგან სწრაფი გათავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, ნერვული სისტემის მოწესრიგება, ნევროზი, აგრესია, შიშები, ღვიძლისა და თირკმლის ფუნქციის აღდგენა, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით უკუჩვენების გარეშე, იმუნიტეტის გაძლიერება 100% შედეგებით (ანონიმურობა დაცულია). ტელ: 558-96-89-15 ან 234-02-38 ექიმი მეგი.

● მამაკაცებისათვის: იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, ტკივილი შარდვისას, ორგანიზმის გაწმენდა დაინფიცირებისგან, მკურნალობა მცენარეული საშუალებებით 100%-იანი შედეგებით. ტელ: 234-02-38; 558-968-915 ექიმი ქ-ნი მეგი.

● დიდი გამოცდილების მქონე სერტიფიცირებული სახალხო მკურნალი-რეაბილიტოლოგი უმაღლესი შედეგებით მკურნალობს ოსტეოქონდროზს, სმენის დაქვეითებას (ნევრიტს), ოტიტს, პროსტატიტს, ცისტიტს, მასტიტს, კუჭ-ნაწლავის დაავადებებს, სახსრების ანთებას, კიდურების დაბუჟებას, რადიკულიტს და სხვა დაავადებებს. მიღება ჩაწერით. ერთი პროცედურის მინიმალური ფასი 10 ლარი. ტელ: 595 45-50-35; 253-44-39 ბ-ნი ლევანი.

● წონაში დაკლება დიეტისა და ვარჯიშის გარეშე, თვეში 5-დან 20 კგ-მდე, უვნებლად, მიღებული შედეგის შენარჩუნებით, ნივთიერებათა ცვლის მოწესრიგება, ჰორმონალური დარღვევები, ციკლის პრობლემები, კლიმაქსური ფონის მოხსნა — ალები, შიშები, ნევროზი. მკურნალობა გარანტიით, უკუჩვენების გარეშე. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი ქ-ნი სალომე.

● სიმაღლეში სწრაფი და ეფექტური ზრდა თვეში 2-4 სმ, 25 წლამდე, მცენარეული მინერალებისა და ვიტამინების ნაკრებით პლუს ვარჯიშებით, ზრდის ზონების გააქტიურება, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც, ასევე უნებლიე შარდვა, როგორც ბავშვებში, ასევე მოზრდილებში. მკურნალობა გარანტიით. ტელ: 234-02-38; 599-96-44-94 ექიმი, ქ-ნი სალომე.

# მასიმო ამბროზინი: „სკუდეტოსთვის ბრძოლა „მილანის“ მოვალეობაა“

„მილანის“ 34 წლის კაპიტანმა მასიმო ამბროზინიმ 2009-ში კაპიტნის სამკლავური პაოლო მალდინისგან გადაიბარა, გასული სეზონი კი მისთვის და მთლიანად „როსონერისთვის“ იღბლიანი აღმოჩნდა. მასიმილიანო ალეგრის მეთაურობით გუნდმა რამდენიმეწლიანი პაუზის შემდეგ იტალიის ჩემპიონობა მოიპოვა. „გაძეტა დელო სპორტისთვის“ მიცემულ ინტერვიუში ამბროზინი მიზნად სკუდეტოს შენარჩუნებასა და ჩემპიონთა ლიგაში წარმატებულ გამოსვლას ისახავს.

***— როგორი განწყობით შეუდექით ახალი სეზონისთვის მზადებას? „მილანი“ ჩემპიონობის შენარჩუნებას მოახერხებს?***

— სკუდეტოს შემთხვევით ვერავინ მოიგებს, ამიტომაც პირველობის მომგები გუნდი მომდევნო გათამაშებაში ობიექტურადაა ჩემპიონობის კიდევ ერთხელ დაუფლების რეალური კანდიდატი. კარგად მესმის, რომ ჯერჯერობით ჩვენი ან რომელიმე სხვა კლუბის საჩემპიონო შანსზე საუბარი ნაადრევია. გუნდები ჩამოყალიბების პროცესში არიან, თუმცა, რამდენიმე გრანდი მიზნად ყოველთვის უმაღლესი მიზნის გადაჭრას ისახავს და ნამდვილად არ ვიქნები გულწრფელი, „მილანის“ ამბიციაზე რომ არ ვთქვა — სკუდეტოსთვის ბრძოლა „როსონერის“ მოვალეობაა.

***— ჩემპიონთა ლიგაში რა შედეგის მიღწევას ისახავთ გეგმად?***

— მთელი კონტინენტის მასშტაბით „მილანი“ ნებისმიერი მეტოქის დასამარცხებლად მზადაა, გამონაკლისს მხოლოდ „ბარსელონა“ წარმოადგენს. კატალონიური გრანდი ნებისმიერ სხვა გუნდზე ერთი თავით მაღლა დგას. თუმცა, ეს სრულებითაც არ ნიშნავს იმას, რომ ჩემპიონთა ლიგაში პეპ გვარდიოლას გუნდს რომ გადავეყაროთ, მარცხთან წინასწარ შეგუებულები ვიქნებით. ჩვენი კვალიფიკაცია და გამოცდილება საერთაშორისო დონეზეც მხოლოდ გამარჯვებებისკენ გვიბიძგებს. გასულ სეზონში სკუდეტო შვიდწლიანი პაუზის შემდეგ მოვიპოვეთ, რამაც, ცხადია, ძალიან გაგვახარა. ამით ჩვენს ერთგულ გულშემატკივრებს, გარკვეულწილად, ის იმედგაცრუება გავუქარწყლეთ, რომელიც მათ ჩემპიონთა ლიგის მერვედფინალში ლონდონურ „ტოტენჰემთან“ მარცხით განვაცდევინეთ, მით უმეტეს, ბრიტანელები ამ ტურნირის დებიუტანტები იყვნენ, „მილანის“ საჩემპიონთალიგო მიღწევებზე საუბარი კი შორს წაგვიყვანს. უმთავრეს საკლუბო-კონტინენტურ შეჯიბრების სტარტს ოპტიმისტურად დაველოდებით. მჯერა, „მილანის“ წინაშე განუხორციელებელი ამოცანა არასდროს დასმულა.



***— ანდრეა პირლოს ტურინის „იუვენტუსში“ გადასვლა „მილანისთვის“ დიდი დანაკლისია?***

— რასაკვირველია. არიან ფეხბურთელები, რომელთაც კარგი გუნდის დიდ კოლექტივად გარდაქმნა ხელეწიფებათ. სწორედ ასეთი მოთამაშეა პირლო. მასთან ერთად ჯერ კიდევ მაშინ ვთამაშობდი, როცა 18 წლისა გახლდით და ჩემზე უკეთ ცოტა ვინმემ თუ იცის მისი შესაძლებლობები. ანდრეა 32 წლისაა, უდიდესი გამოცდილება დაუგროვდა და ფიზიკურადაც თავს მშვენივრად გრძნობს. ამიერიდან მისი წასვლით გამოწვეულ დანაკლისზე კი არ უნდა ვისაუბროთ, არამედ პირლოს შესაფერისი შემცვლელი მოვძებნოთ. ანდრეა უნიკალური თვისებების მოთამაშე და ადამიანია, ამიტომაც ნებისმიერი ფეხბურთელისთვის მისი სათანადოდ ჩანაცვლება ურთულესი საქმეა. ძალიან ბევრი რამაა დამოკიდებული მასიმილიანო ალეგრიზე. მან ისეთი ტაქტიკური მონახაზი უნდა შეიმუშაოს, რომელშიც პირლოს არყოფნა „მილანს“ არ დაეტყობა.

***— პრესაში საუბრობენ „მილანში“ მარეკ ჰამშიკის გადასვლის თაობაზე.***

— ჰამშიკი ძალიან მაღალი კლასის ნახევარმცველია, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, „ნაპოლი“ არ შეელევა.

***— დავუბრუნდეთ მომდევნო სეზონის პერსპექტივას. უპირველესად რაზე უნდა გააკეთოს აქცენტი „მილანმა“, რათა ჩემპიონობისთვის მებრძოლ გუნდად მთელი სეზონის განმავლობაში დარჩეს?***

— მთავარია, კარგი სტარტი ავიღოთ, გაუთვალისწინებელი ქულები არ დავკარგოთ, სეზონის მსვლელობისას კი ტრავმები ავიცილოთ თავიდან. ფეხბურთი სპორტის ის სახეობაა, რომელშიც დაზიანებების არიდება ვერ მოხერხდება, მაგრამ, თუკი ტრავმატიზმი მინიმუმამდე დავიყვანეთ, „მილანს“ ყველა უნდა უფრთხოდეს.

***— არაერთ მწვრთნელთან გიმუშავიათ. ავიღოთ თუნდაც ფაბიო კაპელო და კარლო ანჩელოტი. ამ სპეციალისტებთან შედარებით, რა პრინციპულ სხვაობას ხედავთ მასიმილიანო ალეგრის სადამრიგებლო მეთოდებში?***

— ალეგრი კაპელოსა და ანჩელოტის წააგავს. თუმცა, სხვაობაც ადვილად შესამჩნევია. მასიმილიანო დონ ფაბიოსავით მკაცრი არაა, მაგრამ, თუ საჭირო გახდა, კაპელოსავით გამკაცრდება და მისი იდეის პატივისცემას გაიძულებს. ანჩელოტის კი ალეგრი იუმორის გრძნობით წააგავს, ამასთან, საქმისადმი მიდგომითა და ფეხბურთის ფანატიკური სიყვარულით არავის ჩამოუვარდება.

***— თქვენი და მასიმილიანო ალეგრის ურთიერთობა, როგორც მწვრთნელისა და გუნდის კაპიტნის, იდეალურია?***

— მასიმილიანოსთან კარგი ურთიერთობა მაქვს, მაგრამ ჩემთვის ძნელია, მას იდეალური ვუწოდო. ორივენი საქმეს პირნათლად ვემსახურებით. ალეგრი გულღია ადამიანია და არასდროს პირფერობს. ყოველთვის პირდაპირ ამბობს სათქმელს. ლეონარდოსგან განსხვავებით, ჩვენი ამჟამინდელი დამრიგებელი ფეხბურთელებთან განცალკევებით საუბარს უპირატესობას არ ანიჭებს.

***— ალეგრიმ პოზიცია ოდნავ შეგიცვალათ და გასული სეზონის მატჩებში დაცვის ხაზის წინ გათამაშებდათ. ამან რაიმე სახის დისკომფორტი ხომ არ შეგიქმნათ?***

— არა. მართალია, ეს ჩემთვის განსხვავებული პოზიციაა, მაგრამ მე და პირლო ერთმანეთს კარგად ვუგებდით, მატჩის მსვლელობისას ადგილებს ვცვლიდით და კარგადაც შეთამაშებულები ვიყავით. ანდრეას ტურინში წასვლის შემდეგ, შესაძლოა, ალეგრიმ ფუნქცია შემიცვალოს.

***— „მილანთან“ კონტრაქტი გაახანგრძლივეთ, თუმცა, მხოლოდ ერთი წლით.***

— ამაში საგანგაშოს ვერაფერს ვხედავ. 2012 წლის ზაფხულამდე „მილანში“ ვითამაშებ, სეზონის დასრულების შემდეგ კი კლუბის ხელმძღვანელობასთან ერთად მოლაპარაკების მაგიდას მივუჯდები და ჩვენი სამომავლო თანამშრომლობის საკითხსა და ფორმას გადავწყვეტთ.

# სამხრეთ ამერიკაში ურუგვაი გაბატონდა

**ურუგვაი-პარაგვაი 3:0**

1:0 სუარესი (12), 2:0, 3:0 ფორლანი (42, 90)

**ურუგვაი:** მუსლერა, მ. პერეირა, ლუგანო, კოატესი, კასერესი (გოდინი 89), გონსალესი, პერესი (ეგურენი 70), არევალო, ა. პერეირა (კავანი 64), სუარესი, ფორლანი

**პარაგვაი:** ვილარი, პირისი, და სილვა, ვერონი, მარეკოსი, კასერესი (ესტიგარიბია 65), ორტიგოსა, რივეროსი, ვერა (პერესი 65), ვალდესი, სებალოსი (ბარიოსი 77)

დასრულდა სამხრეთ ამერიკის მორიგი გათამაშება და ურუგვაი კვლავ უფრო ტიტულოვანია, ვიდრე მისი მუდმივი მოქიშპე არგენტინა. აქამდე ორ-ორ გზის მსოფლიოს ჩემპიონებს აქამდე კოპა 14-14-ჯერ ჰქონდათ მოგებული და აი, ურუგვაიმ მე-15 ტიტული ირგო, თან ეს არგენტინაში, „მონუმენტალზე“ შეძლო!

პარაგვაელთა თავკაცმა ხერარდო მარტინომ, რომელიც დისკვალიფიკაციის გამო ფინალს თვალს ტრიბუნიდან ადევნებდა, საკმაოდ მოულოდნელი შემადგენლობა დააყენა ფინალში. განსაკუთრებით თვალს ლუკას ბარიოსის არყოფნა ხვდებოდა, რომელიც პაბლო სებალოსმა შეცვალა. ოსკარ ტაბარესს ექსპერიმენტებისათვის არ მიუმართავს, არც ედინსონ კავანი იყო ძირითადში, „ნაპოლის“ ახლად გამოჯანმრთელებული ურუგვაელი ლეგიონერი მოედანზე მეორე ტაიმში გამოჩნდა.

თამაში დაიწყო ურუგვაის ნაკრების უპირატესობით, რაც სულ მალე გოლშიც აისახა — შეცდომებისა სერიის შემდეგ დიეგო პერესმა შეტევის მარჯვენა ფრთაზე ლუის სუარესი მოძებნა, რომელიც ერთ მეტოქეს გასცდა და კარგადაც დაარტყა, ბურთი გზად მცველს მოხვდა ისე გავიდა ხუსტო ვილარის კარში. ამის შემდეგ მოედანზე სიტუაცია დაიძაბა და ბრაზილიელ მსაჯს 15 წუთში 4 ყვითელი ბარათის ჩვენება მოუწია. 42-ე წუთზე ეგიდიო არევალო რიოსმა მეტოქის მცველების შეცდომით ისარგებლა, მარცხნივ დიეგო ფორლანმა მოძებნა, რომლის დარტყმულიც იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ვილარმა გადახტომა ვერ მოასწრო — 2:0.

ბუნებრივია, მეორე ტაიმში პარაგვაი ცდილობდა მატჩის ხსნას, აღვნიშნავთ ნელსონ ვალდესის დარტყმას დაუმუშავებლად, ფერნანდო მუსლერა ოდნავ მისწვდა ბურთს, რომელიც შემდეგ ხარიხას მოხვდა. ურუგვაის ნაკრები აშკარა გოლს გადაურჩა. საბოლოო წერტილი მატჩში 2010 წლის მუნდიალის საუკეთესო ფეხბურთელმა ფორლანმა დასვა, რომელმაც ძელიდან ასხლეტით ამ მატჩში დუბლი შეასრულა — 3:0. ეს მისთვის ისტორიული გოლია, ფორლანმა ნაკრების მაისურით 31 გოლი გაიტანა, დიეგო ნაკრების ისტორიაში პირველი თანამეგოლეა. ურუგვაის ნაკრები კი 16-წლიანი პაუზის შემდეგ კოპა ამერიკას გამარჯვებულია!

კოპა ამერიკას საუკეთესო ფეხბურთელი ლუის სუარესი გახდა, საუკეთესო ბომბარდირი — პაოლო გერერო (პერუ). საუკეთესო ახალგაზრდა ფეხბურთელი — სებასტიან კოატესია (ურუგვაი), საუკეთესო მეკარე — ხუსტო ვილარი.

# აგუერო „ატლეტიკოს“ ვარჯიშზე არ გამოცხადდა

სერხიო აგუერო მადრიდის „ატლეტიკოს“ ვარჯიშზე არ გამოცხადდა, კლუბში, რომლის წევრადაც 23 წლის ფორვარდი ჯერ კიდევ ითვლება. „კუნმა“ კოპა ამერიკაზე თამაშისას განაცხადა, რომ „ატლეტიკოში“ არ დაბრუნდებოდა და პირობა შეასრულა. ესპანეთში დარწმუნებული არიან, რომ სერხიო ძალიან ახლოსაა „მანჩესტერ სიტიში“ გადასვლასთან.

მადრიდის „ატლეტიკოს“ ხელმძღვანელობამ გადაწყვიტა, გუნდის არგენტინელ თავდამსხმელ სერხიო აგუეროს ფულადი ჯარიმა არ დააკისროს.

ესპანური მარკას ცნობით, ფორვარდი გუნდის განკარგულებაში 24 ივლისს უნდა გამოცხადებულიყო. იმავე წყაროზე დაყრდნობით, ესპანელი ჟურნალისტები იუწყებიან, რომ ფეხბურთელი დედაქალაქურ კლუბში დაბრუნებას აღარ აპირებს. აღნიშნულ სიტუაციაში „ატლეტიკოს“ მესვეურები სიტუაციის დაძაბვას თავს არიდებენ და ფეხბურთელის დაჯარიმება ამიტომ არ უნდათ.

ლიონელ მესიმ გადაწყვიტა, შვებულება გაწყვიტოს და 28 ივლისს ჩილეში ჩაფრინდეს, რათა მარსელო სალასის გაცილების მატჩში მიიღოს მონაწილეობა. 31 ივლისს მესი უკვე მექსიკაში იქნება, სადაც „მესის მეგობართა“ და „დანარჩენი მსოფლიოს ნაკრების“ ამხანაგურ მატჩში ითამაშებს. მესი ასევე გეგმავს მეგობრის, ანხელ დი მარიას ქორწილში მისვლას. მოკლედ, არგენტინელი, ფაქტობრივად, შვებულების გარეშე რჩება.

ამ დღეებში „ბარსამ“ სარეზერვო გუნდიდან ერთი ტალანტი დაკარგა — ორიოლ რომეუ „ჩელსიში“ გადავიდა. 19 წლის ნახევარმცველს მასკერანოსა და ბუსკეტსის კონკურენციის დაძლევა არ შეუძლია, ინგლისურ კლუბში კი პირველ გუნდში თამაშის მეტი შანსი აქვს. მის სანაცვლოდ „ჩელსიმ“ 5 მილიონი ევრო გადაიხადა. რომეუ წავიდა, მაგრამ 20 წლის ცენტრალურმა მცველმა მარკ ბარტრამ 2014 წლამდე გააგრძელა კონტრაქტი კლუბთან. ახალ სეზონში ის ჯერ „ბარსელონა ბ-ში“ ითამაშებს.

პრიმერადივიზიონიდან დაქვეითებულმა „დეპორტივომ“ არგენტინელი მეკარე ხერმან ლუქსი შეიძინა. 28 წლის ლუქსი გალისიაში „მალიორკადან“ გადაბარგდა, სადაც „პოროტოს“ (ლუქსის მეტსახელია) იშვიათად უწევდა თამაში. ლუქსმა 1-წლიანი კონტრაქტი გააფორმა. ეს „დეპორის“ მეოთხე შენაძენია აიოსეს, ხესუს ვასკესისა და სალომაოს შემდეგ.

თუმცა, შესაძლოა, „დეპორტივო“ მისმა ერთ􀀀ერთმა ლიდერმა, ანდრეს გუარდადომ დატოვოს. მექსიკელი ფეხბურთელის შეძენით ძალიან არის დაინტერესებული მოსკოვის „ლოკომოტივი“.

# საქართველო და შენგელია საუკეთესოები არიან

დასაწყისი მე-12 გვერდზე

კალათბურთელმა საქართველოს ნაკრებს ჩემპიონობა მოაპოვებინა. შენგელიამ ბოსნიურ ტურნირზე 9 თამაში ჩაატარა, საიდანაც 7-ში ორმაგი დუბლი შეასრულა. თორნიკე მატჩში საშუალოდ მოგროვებული 30 ქულით ტურნირის ბომბარდირი გახდა, ხოლო მოხსნებში (12) ის მხოლოდ დანიელ იონას ბერგსტედტს (13,5) ჩამორჩა. თორნიკე იყო ძალიან გამორჩეული და საქართველოს ნაკრებს არაერთხელ პირადად მოაგებინა.

შვეიცარიასთან — 27 წუთი, 31 ქულა, 6 მოხსნა; მაკედონიასთან — 38 წთ, 40 ქ, 16 მ, 5 დაფარება; პოლონეთთან — 34 წთ, 26 ქ, 12 მ, 3 პასი, 3 ჩაჭრა; ესტონეთთან (ჯგუფში) — 32 წთ, 33 ქ, 15 მ; რუმინეთთან — 32 წთ, 22 ქ, 11 მ, 3 დ; ბულგარეთთან — 35 წთ, 30 ქ, 21 მ, 3 პ; დანიასთან — 34 წთ, 28 ქ, 5 მ, 4 ჩ; ჩეხეთთან — 39 წთ, 33 ქ, 12 მ, 4 პ; ესტონეთთან (ფინალი) — 34 წთ, 26 ქ, 10 მ, 4 პ. 4 დ, 2 ჩ.

შენგელია 20-წლამდელებთან ერთად საქართველოში არ ბრუნდება. ის მწვრთნელ დავით უსტიაშვილთან ერთად ავსტრიაში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს შეუერთდება და ევროპის ჩემპიონატის ფინალური ეტაპისთვის მოემზადება.

საქართველოს 20-წლამდელთა ნაკრები კი საქართველოში დღეს დაბრუნდება.

## შედეგები

### ფეხბურთი

**კოპა ამერიკა**

**ფინალი**

ურუგვაი-პარაგვაი ... 3:0

**გერმანია. მე-2 ბუნდესლიგა**

ალემანია-ბრაუნშვაიგი ... 0:2
დინამო-ჰანზა ... 1:1
პადერბორნი-ფორტუნა ... 1:1

**რუსეთი. პრემიერლიგა**

ვოლგა-სპარტაკი ... 0:2
ლოკომოტივი-ამკარი ... 4:0
ნალჩიკი-კრასნოდარი ... 2:2
როსტოვი-დინამო ... 0:2
ანჟი-ზენიტი ... 0:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.ცსკა | 16 | 11 | 4 | 1 | 33:10 | 37 |
| 2.ზენიტი | 17 | 9 | 6 | 2 | 27:12 | 33 |
| 3.რუბინი | 17 | 8 | 6 | 3 | 24:13 | 30 |
| 4.დინამო | 17 | 8 | 5 | 3 | 27:18 | 32 |
| 5.სპარტაკი | 17 | 8 | 3 | 6 | 17:19 | 27 |
| 6.ანჟი | 17 | 7 | 6 | 4 | 17:14 | 27 |
| 7.ლოკომოტივი | 17 | 7 | 4 | 6 | 28:22 | 25 |
| 8.ყუბანი | 17 | 7 | 3 | 7 | 18:17 | 24 |
| 9.კრასნოდარი | 17 | 5 | 7 | 5 | 20:23 | 22 |
| 10.ტერეკი | 17 | 5 | 4 | 8 | 13:18 | 19 |
| 11.ამკარი | 17 | 5 | 4 | 8 | 12:23 | 19 |
| 12.ტომი | 17 | 4 | 7 | 6 | 18:27 | 19 |
| 13.ვოლგა | 17 | 5 | 1 | 11 | 17:21 | 16 |
| 14.როსტოვი | 17 | 3 | 4 | 10 | 19:30 | 13 |
| 15.ნალჩიკი | 17 | 2 | 7 | 8 | 15:24 | 13 |
| 16.კრ.სოვეტოვი | 16 | 2 | 5 | 9 | 8:24 | 11 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

ჰიბერნიანი-სელტიკი ... 0:2
დანდი-კილმანროკი ... 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.მოზერველი | 1 | 1 | 0 | 0 | 3:0 | 3 |
| 2.სელტიკი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| 3.რეინჯერსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 4.ჰართსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 5.დანდი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 6.კილმანროკი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| 7.აბერდინი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 8.სტ.ჯონსონი | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| 9.დამფერმლაინი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 10.სტ.მირენი | 0 | 0 | 0 | 0 | 0:0 | 0 |
| 11.ჰიბერნიანი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| 12.ინვერნესი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | 0 |

**ავსტრია. ბუნდესლიგა**

ინსბრუკი-ზალცბურგი ... 0:1
აუსტრია-რიდი ... 2:1

**შვეიცარია. სუპერლიგა**

ბაზელი-ქსამაქსი ... 2:0
თუნი-გრასჰოპერსი ... 3:0

**უკრაინა. პრემიერლიგა**

ვორსკლა-მეტალურგი(დ) ... 4:2
შახტარი-კარპატი ... 2:1
დნიპრო-ვოლინი ... 1:2

**დანია. სუპერლიგა**

ნორდსიელანდი-ჰორსენსი ... 1:1
ლუნგბიუ-სონდერისკე ... 0:1
ოლბორგი-ორხუსი ... 2:1

**შვედეთი. ალსვენსკა**

აიკი-კალმარი ... 2:1
ჰაკენი-გაისი ... 2:0
იორებრო-ნორჩიოპინგი ... 2:0

**ფინეთი. ვეიკაუსლიგა**

მარიეჰამნი-კუუპიო ... 2:2
ჰონკა-ჰაკა ... 1:1
ჯჯკ-ტპს ... 1:1

**ბრაზილია. სერია ა**

ატლეტიკო(მ)-ვასკუ ... 1:2
ბაია-კურიტიბა ... 0:0
კორინთაინსი-კრუზეირო ... 0:1
ფლუმინენსე-პალმეირასი ... 1:0

### პლაჟის ფეხბურთი

**ევროლიგა**

საფრანგეთი-აზერბაიჯანი ... 4:2
რუმინეთი-პოლონეთი ... 4:3
იტალია-შვეიცარია ... 0:2

### კალათბურთი

**ამხანაგური მატჩები**

პორტუგალია-ირანი ... 62:53
სლოვენია-მაკედონია ... 83:71

### წყალბურთი

**მსოფლიო ჩემპიონატი**

**კაცები**

გერმანია-იაპონია ... 8:6

**ქალები**

ს.აფრიკა-უზბეკეთი ... 6:5
ბრაზილია-ყაზახეთი ... 5:9
ა.ზელანდია-კუბა ... 10:11
უნგრეთი-ესპანეთი ... 17:13
აშშ-რუსეთი ... 7:9
ჰოლანდია-საბერძნეთი ... 10:12
ავსტრალია-იტალია ... 8:8(3:5პ)

### ჩოგბურთი

**ატპ. ჰამბურგი. თიხა**

**ფინალი**

ალმაგრო-სიმონი ... 4:6;6:4;4:6

**ვტა. ბაქო. ჰარდი**

**ფინალი**

ზვონარევა-პერვაკი ... 6:1;6:4

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

# ოქრუაშვილმა ძალიან წამგებიანი განცხადება გააკეთა

ნანა მიშელაშვილი

ირაკლი ოქრუაშვილის განცხადებას დეპუტატი კარლო კოპალიანი გამოეხმაურა. ახალი ფრაქციის წევრის თქმით, ასეთი განცხადებებით პირველ რიგში აგებს ოპოზიციური ფლანგი და პირველ რიგში წამგებიანია თავად პიროვნებისთვის. კოპალიანი მიიჩნევს, რომ ირაკლი ოქრუაშვილმა ძალიან წამგებიანი განცხადება გააკეთა. რა შეცდომა დაუშვა თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა და რას აპირებს ახალი ფრაქცია შემოდგომაზე?

**„ახალი თაობა“ კარლო კოპალიანს ესაუბრა:**

***— გასულ კვირას ირაკლი ოქრუაშვილმა ნინო ბურჯანაძის მისამართით მწვავე განცხადება გააკეთა, რომ ბურჯანაძის ჭკუაზე დიდი წარმოდგენა არასდროს ჰქონია. თქვენ სახალხო კრების წარმომადგენელი ხართ, რას იტყვით ოქრუაშვილის ამ განცხადებაზე?***

— საერთოდ ვცდილობ, რომ ასეთ პოლიტიკურ თამაშებში არ ჩავება და არც კომენტარს ვაკეთებ მსგავს საკითხებზე. ერთი რამის თქმა შემიძლია, 26 მაისის შემდეგ რა რეალობის წინაშეც დავდექით, ესა თუ ის პოლიტიკოსი ცდილობს, რომ ამ მოვლენების მიღმა არ დარჩეს. ზოგიერთები თავის მართლებას იწყებენ და გუშინდელი თანაპარტიელები თუ თანამოაზრეები ერთმანეთის კრიტიკას არ ერიდებიან. მიდის საშინელი კრიტიკა. ასეთი განცხადებებით, პირველ რიგში აგებს ის ოპოზიციური ფლანგი და წამგებიანია თავად პიროვნებისთვის. ჩემი აზრით, ბატონმა ირაკლი ოქრუაშვილმა ძალიან წამგებიანი განცხადება გააკეთა.

***— რისთვის დასჭირდა?***

— თითქოს თავის მართლება გამოუვიდა, იმიტომ ვერ ჩამოვედი, რომ ეს მიზეზები იყო.

***— რაც ოქრუაშვილმა ბურჯანაძესა და ლევან გაჩეჩილაძეზე თქვა, ეს ოქრუაშვილის მხრიდან თავის მართლების მცდელობაა?***

— ხალხს მაისში დაჰპირდა და ვერ ჩამოვიდა, რაღაცნაირად რეაბილიტაცია უნდა მოახდინოს, თუ გინდა, თავის მართლება დაარქვით და თუ გინდა — არა. სწორად არ მიმაჩნია, რომ ადამიანმა საკუთარი თავის რეაბილიტაცია მოახდინოს სხვისი დისკრედიტაციის ხარჯზე. რაც შეეხება სახალხო კრებასა და ქალბატონ ნინო ბურჯანაძეს, ყველამ იცის, რომ ბურჯანაძე პოლიტიკაში წონადი ფიგურაა.

***— ოქრუაშვილმა „მაესტროსთან“ ინტერვიუში თქვა, რომ ბურჯანაძეს 1 გრამი კი არა, 0,1 გრამი ჭკუა არა აქვსო?***

— ერთხელ კიდევ შეცდა ეს კაცი შეფასებებში. ეს მისი პრობლემაა. ჩემი აზრით, ეს ბურჯანაძე ძალიან წონადი ფიგურაა. ვინმეს უნდა თუ არა, ეს ასეა. ბურჯანაძე კიდევ დიდხანს იქნება პოლიტიკაში.

***— ერთ-ერთ სამიზნედ ოქრუაშვილმა ნინო ბურჯანაძე რატომ აირჩია?***

— 26 მაისიდან გამომდინარე ვიტყვი, 26 მაისის აქციებმა და მისმა ორგანიზატორებმა სრულად გააშიშვლა დღევანდელი ხელისუფლება. თუ 26 მაისამდე კიდევ ვინმეს სჯეროდა ხელისუფლების მიერ დეკლარირებული დემოკრატიის, 26 მაისის შემდეგ ამის უკვე არავის სჯერა და ეს მოახერხა სახალხო კრებამ, ნინო ბურჯანაძემ, ნონა გაფრინდაშვილმა და დანარჩენებმა. ეს ვიღაცას არ მოსწონს.

***— ვის არ მოსწონს? ამ შემთხვევაში ირაკლი ოქრუაშვილს?***

— შეიძლება ოქრუაშვილს და კიდევ სხვას არ მოსწონს, რომ ის, რაც ოპოზიციამ ვერ მოახერხა მრავალი წლის მანძილზე, მოახერხა სახალხო კრებამ აქციებით და თუნდაც ქალბატონმა ნინომ თავდადებით. მიუხედავად ათასგვარი შავი პიარისა, თითქოს ბურჯანაძე 26 მაისს ადრე წავიდა, ეს ასე არ ყოფილა. მე იქ ვიყავი, დაპატიმრებულიც ვიყავი, ბურჯანაძეს ხალხი არ მიუტოვებია და დღესაც დაზარალებულებს გვერდში უდგას.

***— რაც შეეხება ლევან გაჩეჩილაძის მიმართ გაკეთებულ განცხადებებს, ოქრუაშვილმა გაჩეჩილაძეს გამყიდველი უწოდა, რომელსაც ხელისუფლებისთვის „ქართული პარტიის“ გეგმები მიჰქონდა. მან ასევე ისაუბრა გაჩეჩილაძის მიერ ხელისუფლებისგან თანხების აღებაზე. რას ემსახურება ეს განცხადება?***

— ეს თემა ძალიან პოპულარულია და ქართულ პოლიტიკაში თითქმის ყოველდღე გვესმის, როდესაც ვიღაცა ვიღაცას აბრალებს მილიონების აღებას. ეს უბედურებაა, როდესაც პოლიტიკაში გარკვეულ ადგილს იჭერს ვაჭრობის თემა. ჩვეულებრივ ამბად იქცა, რომ ხელისუფლებას შეუძლია, ვიღაც იყიდოს და 5 ან 10 მილიონი გადაიხადოს, რომ ოპონირება შეასუსტოს არ ლიბერალი გახადოს.

***— ეს ოპოზიციის უბედურება არ არის, როდესაც შეიძლება ოპოზიციიდან ხელისუფლებამ ვიღაც იყიდოს?***

— თავის დროზე, არ გამოვრიცხავ, რომ ასეთი პრეცედენტი დაიშვა და გარკვეული პარტიები ხელისუფლებასთან რაღაც გარიგებაში შევიდნენ. ამით ხელისუფლება წახალისდა, შეიძლება თურმე იყიდო პოლიტიკური აზრი, გონება. აქედან გამომდინარე, ხელისუფლებამ პიარის სახით გამოიყენა და შეგნებულად ავრცელებს ინფორმაციას, რომ ვიღაც გაიყიდა, რათა მოსახლეობის თვალში ამ პარტიების დისკრედიტაცია მოახდინოს.

***— ოქრუაშვილის ბოლო განცხადების შემდეგ სახალხო კრებისა და „ქართული პარტიის“ რაიმე დაახლოებაზე ან რაიმე საკითხზე შეთანხმება შეიძლება მოხდეს?***

— პოლიტიკა სავსეა მოულოდნელობებით, ყოველ საათში იცვლება სიტუაციები.

***— გასაგებია, რომ პოლიტიკაში მოულოდნელობები ხშირად ხდება, მაგრამ ერთ დღეს ერთმანეთს ლანძღავდნენ და მეორე დღეს ერთად იდგნენ, ეს რამდენად რეალურია?***

— არა მგონია, რომ ეს ასე მოხდეს, თუმცა, არ ვიცი, შემდგომში რა მოხდება. მე ამ გაერთიანების ხელმძღვანელ რგოლში არა ვარ.

***— თუმცა, სახალხო კრების სათათბიროს წევრი ხართ?***

— კი, სათათბიროს წევრი ვარ, ამ წუთში „ქართულ პარტიასთან“ არანაირ გაერთიანებაზე საუბარი არ არის და, არა მგონია, ოდესმე დადგეს.

***— სახალხო კრება რის გაკეთებას აპირებს შემოდგომაზე?***

— ამ ზაფხულში შესვენება არ არსებობს, სახალხო კრება მომავალ გეგმებზე მუშაობს, რაც გახმიანდება.

***— ამ გეგმებში აქციების გამართვა შედის?***

— არც ერთი საშუალება არ არის გამორიცხული, რომ ქვეყანაში სიტუაცია შევცვალოთ.

***— სახალხო კრება აქტიურობას რა კუთხით აპირებს?***

— აქტიურობა ყველა კუთხით იქნება. ნებისმიერი პოლიტიკური მოვლენა, რაც ქვეყანაში ხდება, სახალხო კრების ყურადღების მიღმა არ რჩება. კონკრეტულად რას იზამს სახალხო კრება, ახლა ამ გეგმების შესახებ ვერაფერს ვიტყვი, ამას სახალხო კრება თავად გაგვაცნობს.

***— ახალ ფრაქციაში რამდენიმე პოლიტიკური პარტიის წევრია. რამდენად მიგაჩნიათ სწორად, რომ ზურაბ ნოღაიდელის პარტიის, ირაკლი ალასანიას პარტიისა და სახალხო კრების წარმომადგენლებმა ერთი ფრაქცია შექმენით?***

— ქრისტიან-დემოკრატებმა ანალოგიური განცხადება გააკეთეს, ეს რა შუაშია? ამ ფრაქციის თითოეულ წევრს საკუთარი სახელი და გვარი აქვს. მე, მაგალითად, უპარტიო ვარ და ვარ სახალხო კრების სათათბიროს წევრი. ჩვენ ვართ პარლამენტის წევრები.

***— გასაგებია, მაგრამ პეტრე მამრაძე არის ზურაბ ნოღაიდელის პარტიის წევრი, გიორგი ცაგარეიშვილი არის ირაკლი ალასანიას პარტიის წევრი.***

— ეს ყველამ იცის, რა საჭიროა ამის შემოგდება ისე, რომ როგორ შეიქმნა ასეთი ფრაქცია და ასე შემდეგ.

***— სხვადასხვა პარტიის წევრები რადგან ხართ, ბლოკს ხომ არ შექმნით?***

— არა. ეს რა შუაშია? ხვალ რა იქნება, არავინ იცის. დამოუკიდებელი დეპუტატები დავსხედით, კონსულტაციები რამდენიმე თვე გრძელდებოდა და ვნახეთ საერთო ენა, რათა უფრო ნაყოფიერი ყოფილიყო ჩვენი საქმიანობა.

***— ეს ფრაქცია ერთ წელიწადში რას გააკეთებს ისეთს, რაც თითოეულმა თქვენგანმა სამ წელიწადში ვერ გააკეთა?***

— გასაკეთებელი ცოტაა? ერთი წელი არც ისე ცოტაა.

***— საპარლამენტო არჩევნებისთვის ტრიბუნა გინდათ?***

— ტრიბუნა არ გვაკლია.

***— თუმცა, ფრაქციას უფრო მეტი პრივილეგია აქვს, ვიდრე თითოეულ დეპუტატს...***

— ჩვენ უფრო ნაყოფიერ საქმიანობას იმას ვეძახით, რომ ფრაქციას უფრო მეტი უფლებები აქვს და ყველა ამ უფლებას მაქსიმალურად გამოვიყენებთ.

***— მაგალითად, რას?***

— ჩვენ ახლა გვქონდა ფრაქციის სხდომა, სადაც მე დავაყენე საკითხი ნამახვანის ჰიდროელექტროსადგურის კასკადის მშენებლობასთან დაკავშირებით. მოვითხოვე გარემოს დაცვისა და ენერგეტიკის მინისტრების პარლამენტში დაბარება.

***— რატომ იბარებთ ამ ორ მინისტრს შემოდგომაზე პარლამენტში?***

— ეს კასკადი შენდება იმ ტერიტორიაზე, რომლის მაჟორიტარიც ვარ, ლეჩხუმის ტერიტორიაზე. უნდა აშენდეს სამი კასკადი და ამით, ფაქტობრივად, რიონის ხეობა იტბორება. მთლიანი კასკადის სიგრძე იქნება 27 კილომეტრი, სოფელი ჟონეთიდან სოფელ ალპანამდე იქნება მთლიანად ტბა. უნდა გითხრათ, რომ ლეჩხუმისა და ამ ხეობისათვის ეს კატასტროფა იქნება, მით უმეტეს, რომ წყალქვეშ 14 სოფელი მოხვდება.

***— რას ნიშნავს, წყალქვეშ მოხვდება 14 სოფელი?***

— ეს სოფლები დატბორვის ზონაში ხვდება და გადასახლებას დაექვემდებარება.

***— ყველა ეს სოფელი ლეჩხუმს ეკუთვნის?***

— ნაწილი წყალტუბოს რაიონია, ნაწილი — ცაგერის. ეს 14 სოფელი წყალქვეშ მოხვდება. ცხადია, მოსახლეობის 70% ამ მშენებლობის წინააღმდეგია, მაგრამ პრობლემა გაცილებით დიდია, ვიდრე ამ მოსახლეობის სხვაგან გადასახლება.

***— რა პრობლემებია?***

— როდესაც პროექტი ვნახეთ, გაგვიჩნდა ძალიან ბევრი შეკითხვა, რადგან პროექტი აბსოლუტურად შეუსწავლელია. არ არის გათვალისწინებული მთავარი კომპონენტი, რაც არის გარემოზე ზემოქმედების შეფასება. მშენებლობის ნებართვა გარემოს დაცვის სამინისტრომ სწორედ ამ დასკვნის საფუძველზე უნდა გასცეს. ამ ჰესის მშენებლობის იდეა გასული საუკუნის 30-იან წლებში გაჩნდა და შემდეგ უკვე 80-იან წლებში განახლდა, მაგრამ ორივეჯერ გაჩერდა. ახლა კი სწორედ 80-იანი წლების პროექტია გადმოკოპირებული. 30 წლის წინ ჩატარებული გეოლოგიური და სეისმოლოგიური კვლევები უდევს საფუძვლად. მას შემდეგ კი რაჭა-ლეჩხუმში ძლიერი მიწისძვრები მოხდა და ეს პროექტში არ არის გათვალისწინებული.

***— შენიშვნა მხოლოდ ამასთან დაკავშირებით გაგაჩნიათ?***

— რას ამბობთ, შენიშვნა არის ყველა სფეროსთან მიმართებით, რადგან არანაირი დასკვნა არ არსებობს. სამწუხაროდ, პასუხსაც ვერავინ გვცემს. ამიტომაც მე ეს საკითხი ფრაქციის სხდომაზე დავაყენე, რომ პირველივე სხდომაზე სპეციალისტები, ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ფინანსთა მინისტრები მოვიწვიოთ. ჩვენ გვაინტერესებს როგორც ამ მშენებლობის რისკები, ასევე დაფინანსების წყაროები. არ არის ისე, როგორც ამბობს ჩვენი პრეზიდენტი, რომ, თურმე ეს ყოფილა ჩვენი ხსნა.

***— ეს ხომ ინვესტიციით უნდა აშენდეს?***

— მე არ ვიცი, ამას რამდენად შეიძლება ინვესტიცია დაერქვას, როდესაც მშენებელი იღებს სესხს დონორი ორგანიზაციებისგან და ამ სესხის უზრუნველყოფა ხდება სახელმწიფო გარანტიით.

***— რა რაოდენობის ინვესტიცია უნდა ჩაიდოს?***

— საუბარია 1 მილიარდ დოლარზე და ამასთან დაკავშირებითაც ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება. დღის საერთაშორისო დაანგარიშებით 1 მეგავატიანი ჰესის მშენებლობა ჯდება 1 მილიონიდან 1 მილიონ 200 ათას დოლარამდე. აქ კი ამბობენ, რომ უნდა აშენდეს 450 მეგავატიანი კასკადი. ამიტომაც საინტერესოა, სად წავა დანარჩენი თანხა? რატომ ორჯერ მეტი? ხომ არ დგას ამის უკან კორუფციული გარიგებები, მით უმეტეს, რომ სესხი სახელმწიფოს სახელით უნდა იქნეს აღებული და, თუკი ამ თანხას ეს კომპანია ვერ გაისტუმრებს, სახელმწიფოს გადასახდელი იქნება. ამიტომაც ვამბობ, რომ ეს ინვესტიცია არ არის. ინვესტიცია არის ის, როდესაც კომპანია შემოდის თავისი ფულით, იქნება საკუთარი თუ თავისი სახელით სესხად აღებული.

***— მშენებლობა როდის უნდა დაიწყოს და მოსამზადებელი სამუშაოები უკვე ხორციელდება?***

— როგორც ვიცი, მშენებლობა მიმდინარე წლის დეკემბერში უნდა დაიწყოს. 5-6 წელი გაგრძელდება. ჰესის ექსპლუატაციაში შესვლის შემდეგ 20 წლის ვადით მთლიანად გადავა ინვესტორის ხელში. გამომუშავებული დენი პირდაპირ თურქეთს მიეწოდება. ვიღაცა რომ გვატყუებს, მთელი საქართველო გაჩახჩახდებაო, ასე ნამდვილად არ არის. ამასთან, როდესაც ასეთი გრანდიოზული მშენებლობა იწყება, ითვლება ფინანსური და ეკონომიკური ეფექტი, ანუ უნდა დაითვალოს ეკოლოგიისთვის მიყენებული ზარალი, მშენებლობის ხარჯი, გადასახლებული მოსახლეობის კომპენსაცია. ეს ყველაფერი უნდა შეიკრიბოს და მოხდეს ანალიზი, მოსალოდნელ ეკონომიკურ ეფექტთან შედარებით ღირს თუ არა ამის გაკეთება. ეს კი ამ პროექტს თან საერთოდ არ ახლავს. გარდა ამისა, არ დევს, გადასასახლებელ მოსახლეობას რა კომპენსაციას ჰპირდებიან. არ არის გაწერილი, რამდენი ადამიანი შეიძლება დასაქმდეს. ამბობენ, რომ დასაქმდება 1200 და აქედან ადგილობრივი მხოლოდ 200 იქნება. ბატონმა პრეზიდენტმა კი ამ 200-ს კიდევ ორი ნული მიუმატა და თქვა, 20 ათასი დასაქმდებაო. არა, ბატონო, თავს დავდებ, რომ ეს არის ტყუილი. მე გული მტკივა იმიტომ, რომ ეს რაიონი ისედაც მიგრაციულია. ყოველწლიურად ამ ქვეყნიდან საშუალოდ სამასი ადამიანი მიდის და მხოლოდ 30-მდე ბავშვი იბადება. ლაჯანურჰესი არსებობს და, ამ გიგანტთან შედარებით, რომლის აშენებასაც ახლა აპირებენ, ძალიან პატარაა, მაგრამ ლაჯანურჰესმა მდინარე ლაჯანურის ხეობის სოფლების 90 პროცენტი გაანადგურა. ამ ხეობაში 8 სოფელია და 7 დამეწყრილია. ახლა წარმოიდგინეთ, ოთხჯერ დიდი სამდინარო ნაგებობა ლეჩხუმს რას უზამს.

***— თქვენ საკმაოდ მძიმე სურათი დახატეთ და იმაში ცუდი რა არის, თუკი საქართველო ელექტროენერგიას ექსპორტზე გაიტანს?***

— ამას ექსპორტი არ ჰქვია. 25 წლის მანძილზე ეს ჰესი შენი საერთოდ არ იქნება და გამომუშავებული ელექტროენერგიაც არ გეკუთვნის. ის გაიტანს თუ რას უზამს, შენ აქედან ვერაფერ სარგებელს ვერ ნახავ. ეს არის პირობაში ჩადებული.

***— ამ პროექტს ხელი ვინ მოაწერა?***

— ლობირებას უწევს ენერგეტიკის სამინისტრო ბატონი ხეთაგურის ხელმძღვანელობით და აქ ძალიან ბევრი კითხვა ჩნდება.

***— პრემიერის მოწვევას რატომ არ ითხოვთ ფრაქციაში?***

— არ გამოვრიცხავ, რომ პრემიერიც მოვიწვიოთ, იმიტომ რომ ხეთაგური და ასეთი პირები დამოუკიდებლად ასეთ საკითხებს ვერ წყვეტენ და მათ უკან, რა თქმა უნდა, დგას გილაურიც. თუმცა, არც სხვებს გამოვრიცხავ, ამ საქმით რომ იყვნენ დაინტერესებულნი.

***— ამ საკითხმა პარლამენტში რატიფიცირება თუ გაიარა?***

— პარლამენტში მისი განხილვა არ მახსოვს. მაგრამ ერთ რამეს გეტყვით, მთავარი კომპონენტი გარემოზე ზემოქმედების შეფასებაა. ჯერჯერობით ნებართვა გაცემული არ არის და საფინანსო ორგა-

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. ყველაზე დიდი ჩანჩქერი აფრიკაში; 2. ლამაზი, მოხდენილი მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 3. კოსოვოს ადმინისტრაციული ცენტრი; 4. ბანქოს თამაშის ერთ-ერთი სახეობა; 7. დაბა სიღნაღის რაიონში; 9. ტყემლის ერთ-ერთი ჯიში; 12. ესპანელი კინორეჟისორი; 14. ქერისა და ფეტვისგან მომზადებული უალკოჰოლო გამაგრილებელი სასმელი; 15. ძალზე ხელმომჭირნე, ძუნწი ადამიანი; 17. ყირგიზეთის დედაქალაქი; 20. რაჭაში გავრცელებული თეთრყურძნოვანი ვაზის უძველესი ქართული ჯიში.

**თარაზულად:** 5. მდინარე აშშ-ი; 6. ტკბილეულის მწარმოებელი ქართული ფირმა; 8. უმცროს მეთაურთა წოდება სამხედრო-საზღვაო ფლოტში; 10. სიყვარულის, სილამაზის ღვთაება ბერძნულ მითოლოგიაში; 11. მხარე ავსტრიაში; 13. დახრილი მოედანი გემების წყალში ჩასაშვებად; 16. ყველის გულიანი ქართული ორცხობილა; 18. ინდოეთის ოფიციალური სახელმწიფო ენა; 19. ბალნეოლოგიური კურორტი სამეგრელოში; 21. მწვანე ფერის ციტრუსოვანი მცენარე; 22. ტანსაცმლის, თეთრეულის კარადა; 23. ქართული ლიტერატურული ჟურნალი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდისა და სკანვორდის პასუხები:

**სკანვორდი**

1. ირბისი; 2. ბოლონია; 3. ლეი; 4. იარდი; 5. სარდინი; 6. კრონა; 7. ნარ; 8. იუანი; 9. ელენთა; 10. ყბედი; 11. კოსმოსი; 12. პანამა; 13. ადა; 14. ადანი; 15. ნანდუ; 16. ჯა; 17. კანაფი; 18. უგანდა; 19. ენდემია; 20. იუტა; 21. პინო; 22. ნიასა; 23. ენა; 24. ოდა; 25. იაგუნდი; 26. პუმა; 27. არი; 28. კემბრიჯი; 29. ბაზა; 30. რაფ; 31. ირაო; 32. ჯეჯილი.

სურათებზე: სანდრა ბალოკი; ფერნანდო გაგო.

**კროსვორდი**

**თარაზულად:** 6. მახვში; 8. დეპორტი; 9. კარტერი; 10. რექტორი; 12. მედია; 13. ოკამი; 14. ტრეილერი; 19. კოლაფსი; 21. კაზუსი; 23. რეალი; 24. ეტრატი; 25. ატროფია; 26. კიურიუმი.

**შვეულად:** 1. ამარეტო; 2. ფერმერი; 3. ეტიუდი; 4. ხორგო; 5. კარამელი; 7. შიო; 11. რაინდი; 15. კალკუტა; 16. ველენი; 17. მარტი; 18. ეროტი; 20. სარფი; 22. სოტე.

# ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალი მესამედ ჩატარდება

დასაწყისი მე-8 გვერდზე

თანამედროვე ტექნოლოგიურ მიღწევებს ანიმაციურ სამყაროში, გაიზიარონ გამოცდილება და მუშაობის სტილი, — აცხადებს ანიმაციის განვითარების ფონდის ხელმძღვანელი ზურაბ დიასამიძე.

გამარჯვებული ნამუშევრები გამოცხადება ანიმაციის საერთაშორისო ფესტივალ „თოფუზი 2011-ის" ლოგოებად, ხოლო მათ ავტორებს ანიმაციის განვითარების ფონდი მიიპატიჟებს ქალაქ ბათუმში ფესტივალზე დასასწრებად და დაუფინანსებს ორადგილიან ნომრებს სასტუმროში. „თოფუზი-ჩილდრენის" გამარჯვებული კი შევა საბავშვო ჟიურის შემადგენლობაში.

რიგით მესამე საერთაშორისო ანიმაციური ფილმების ფესტივალის ჩატარებამდე ანიმაციური ფილმების ფესტივალი „ექო თოფუზი" საჩხერეში ჩავიდა, სადაც საუკეთესო ფილმები წარადგინა. ანიმაციური ფილმების ფესტივალი რეგიონებში ეტაპობრივად ტარდება. ხობში უკვე მეორედ გაიმართა ფესტივალი „ექო თოფუზი", სადაც მისულ ბავშვებს შეხვდნენ ანიმაციური გმირების კოსტიუმებში გადაცმული მსახიობები. ბავშვებისთვის ჩატარდა კონკურსი, რომლის გამარჯვებულებს გადაეცა დისკი — „მსოფლიო ხალხთა ზღაპრები" და ფესტივალის კალენდრები.

ფესტივალ „თოფუზის" რეგიონალური ჩვენება „ექო თოფუზი" ტრადიციად დამკვიდრდა და უკვე მესამედ ჩატარდა ქალაქ ზუგდიდში. ფესტივალის ფორმატში წელს პირველად ჩატარდა ვორქშოფი ბავშვებისთვის, რომლის დროსაც შეიქმნა ახალი ანიმაციური ფილმი „საქართველო - ჩემი ოცნება".

— რაც შეეხება სამომავალო გეგმებს, კინემატოგრაფიის ანიმაციური ჟანრის საქართველოს სხვადასხვა რეგიონში პოპულარიზაციის მიზნით, დაგეგმილი საფესტივალო გასვლითი ღონისძიებების ჩატარება რეგიონებში. ანიმაციურ სტუდია „მიფასი ფილმთან" და ს.ს. „ქართულ ფილმთან" ერთად ფონდი მუშაობს საბავშვო ანიმაციური სტუდიის გახსნაზე. მიმდინარეობს მუშაობა საქართველოს რეგიონალურ ხელმძღვანელობასთან და დაინტერესებულ პირებთან, საქართველოს რეგიონებში ანიმაციური სტუდიების გახსნის თაობაზე. ფესტივალ „თოფუზის" მისიაა, ხელი შეუწყოს შემოქმედებითი გამოცდილების გაცვლას, ახალი იდეების ძებნას და აგრეთვე ქართული ანიმაციის ინტეგრაციას მსოფლიოს კინოს პროცესში. ეს არის ადგილი, სადაც მოხდება საათობით ფილმების ჩვენება, შეხვედრები, განხილვები. ანიმაციის განვითარების ფონდის მიერ ორგანიზებული დაუვიწყარი და სასიამოვნო საღამოები ხელს შეუწყობს ახალი მეგობრობისა და კონტაქტების ჩამოყალიბებას. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ მონაწილეები და სტუმრები ისიამოვნებენ სტუმართმოყვარე და მეგობრული ხალხის მიერ შექმნილი ატმოსფეროთი, — აღნიშნავს ფესტივალის დამფუძნებელი.

ფესტივალის გარდა, ღონისძიების ავტორებს გააჩნიათ ანიმატორთა კლუბი. არასამთავრობო ორგანიზაცია „მოზარდთა ინიციატივების სტუდია" და ანიმაციის განვითარების ფონდი ახორციელებენ საზოგადოებრივ პროექტს „ანიმაციური რუსთავი", რომლის მიზანია გაიხსნას ანიმაციური კლუბი რუსთავში, სადაც 10-დან 15 წლამდე მოზარდები, პროფესიონალი თანაშემწეების დახმარებით, ისწავლიან თუ როგორ გააკეთონ ანიმაციური ფილმები. ანიმაცია დაეხმარება მათში ჩამოყალიბდეს ადამიანური ფასეულობები, განივითარონ საკუთარი ნიჭი და უნარები, გაიზარდოს მათი ინტერესი ხელოვნების მიმართ, შეექმნათ ინტერესი სწავლისა, სხვებსაც გაუზიარონ თავიანთი იდეები, აღმოაჩინონ ნიჭი საკუთარ თავში, გამოამჟღავნონ იგი და დაიმკვიდრონ ადგილი საზოგადოებაში. მიღებული ცოდნა დაეხმარება ახალგაზრდებს, რომ ჩამოყალიბდნენ პროფესიონალებად და ნახონ თავიანთი ადგილი ცხოვრებაში. გარდა ანიმაციური კლუბისა, „მოზარდთა ინიციატივების სტუდია" გეგმავს გახსნას ქართული ცეკვისა და ხატვის კურსები, ჩამოაყალიბოს კინოკლუბი, სადაც ყოველთვიურად გაიმართება შეხვედრები მსახიობებთან, კლუბი აგრეთვე იქნება ახალგაზრდების თავშეყრის უსაფრთხო ადგილი, სადაც ისინი ერთად გაატარებენ დროს. „მოზარდთა ინიციატივების სტუდია" და „ანიმაციის განვითარების ფონდი" თვლიან, რომ არა მხოლოდ რუსთავშია საჭირო ადგილები, სადაც ახალგაზრდები უნაყოფოდ არ გაატარებენ თავიანთ თავისუფალ დროს, ამიტომ ისინი განაგრძობენ მუშაობას, რათა საქართველოს სხვა რეგიონებშიც განახორციელონ მსგავსი პროექტები.

— „თოფუზი" საქართველოში ანიმაციური ფილმების ერთადერთი საერთაშორისო ფესტივალია, აქედან გამომდინარე, დიდია მისი მნიშვნელობა. ქართულ მულტიპლიკაციას დიდი ტრადიციები აქვს და აუცილებელია, თანამედროვე ანიმაციის მსოფლიო პროცესში ინტეგრაცია. განსაკუთრებით მხიბლავს, რომ ფესტივალს საქართველოს სხვადასხვა რეგიონი მასპინძლობს და მასში ქართულ პროდუქციასთან ერთად, უცხოელი ავტორების ნამუშევრებიც მონაწილეობს. ეროვნული კინოთეატრი მხარს უჭერს ფესტივალს. ვიმედოვნებთ, რომ ერთობლივი ძალისხმევით, ქართული ანიმაცია გაძლიერდება როგორც საქართველოში, ასევე მის საზღვრებს გარეთ. „თოფუზის" დამფუძნებლებს კი ვუსურვებთ წინსვლას და წარმატებებს, — აღნიშნავს საქართველოს ეროვნული კინემატოგრაფიის ცენტრის დირექტორი, თამარ ტატიშვილი.

# სამგლოვიარო განცხადებები



მეუღლე თამარ წიქარაძე, შვილები დავით, ქეთევან და ნიკოლოზ ჩხეიძეები, დაძმა მზექალა და სპარტაკ ჩხეიძეები, უახლოესი ნათესავები და მეგობრები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა

**ამირან ჩხეიძე**

პანაშვიდი: 26, 27 ივლისს, 17 საათზე, ნინა ჟვანიას ქ. №4;

გამოსვენება: 28 ივლისს, 14 საათზე, წმინდა მარინეს სახელობის ტაძრიდან, დუშეთის ქ.№12 (მეტროსადგურ „ავლაბრის" მიმდებარე ტერიტორია).

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12–დან 17 საათამდე.**

# ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო

ვაჩნაძემ დროებით ტაიმ-აუტი აიღო და მოსკოვში გაემგზავრა. წლების შემდეგ კი მსახიობი ისევ სამშობლოში დაბრუნდა.

ალბათ შემთხვევითი არ არის, რომ მსახობი თავისსავე დაბადების დღეზე ავიაკატასტროფაში დაიღუპა. ნატოს დამწვარი სხეული მისმა დამ კირა ანდრონიკაშვილმა საგვარეულო პატარა ბრილიანტის ბეჭდით ამოიცნო. ნატოს ფერფლი და გადარჩენილი ხელი კი დიდუბის მიწას მიაბარეს. ვარშავაში ერთ-ერთ ქუჩას ნატო ვაჩნაძის სახელი დაერქვა, სადაც მის პატივსაცემად მსახიობის ბიუსტი დადგეს.

ნატო ვაჩნაძის მემორიალური სახლ-მუზეუმი ვაჩნაძეთა საგვარეულო სახლში, გურჯაანის სოფელ გურჯაანში უკვე 30 წელია გახსნილია. მუზეუმში დაცული და ექსპონირებულია მსახიობისა და მისი ოჯახის წევრთა მემორიალური ნივთები — XIX-XX საუკუნეების დასაწყისის ავეჯი, ხალიჩები, ფარდაგები, ჭურჭელი (რუსული და ფრანგული ფაიფური) ფერწერა, გრაფიკა, სკულპტურა, ფოტომასალა, დოკუმენტები, მსახიობის შესახებ გამოცემული წიგნები, კინოფილმების ასლები ნატო ვაჩნაძის მონაწილეობით. მუზეუმში დაცულია კახეთის მხარისთვის დამახასიათებელი ყოფისა და ეთნოგრაფიის მასალები, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ შემთხვევით აღმოჩენილი არქეოლოგიური ნივთები. ყველა ნივთი, რომელიც ნატო ვაჩნაძის სახელს უკავშირდება, მისმა შვილებმა გიორგი და ელდარ შენგელაიებმა დედის სახლ-მუზეუმს უსასყიდლოდ გადასცეს. ყოველი წლის 14 ივნისს გურჯაანში სახალხო დღესასწაული — ნატოობა აღინიშნება. წელს ამ თარიღმა ყოველგვარი აღნიშვნისა და კონკრეტული ღონისძიებების გარეშე ჩაიარა, რამაც მსახიობის შვილების გულისწყრომა გამოიწვია.





ვინაიდან სახლ-მუზეუმში ერთი კონკურენტული პიროვნების ნივთების გარდა, იმ მხარისთვის მნიშვნელოვანი უნიკალური მასალებიც ინახება, ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში სარეაბილიტაციო სამუშაოებს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს მიერ შერჩეული სპეციალისტები ასრულებენ.

# ოქრუაშვილმა ძალიან წამგებიანი განცხადება გააკეთა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ნიზაციებთანაც პრობლემები აქვთ. ჯერ სესხი ვერ აიღეს. ჩვენ ვაკრიტიკებთ ამ პროექტს. სწორად მინდა გაიგოთ, არც მე და არც ლეჩხუმელების იდეაფიქსი არ არის, რომ ჰესი არ აშენდეს, პირიქით, უნდა აშენდეს, მაგრამ, ჩვენ ვამბობთ, რომ ასეთი მაღალწნევიანი კაშხალი არ უნდა აშენდეს, ანუ 450-მეგავატიანი, დაბალწნევიან კაშხლებზეა საუბარი. შესასწავლია როგორც მიკროკლიმატის ცვლილება, ასევე გლობალურ კლიმატთან შედარებითი ანალიზი. ეს ყველაფერი კეთდება ხვამლის ძირში, იქვე მღვიმეებია. მე ვთვლი, რომ არა მარტო ლეჩხუმელებმა, არამედ იმერლებმა და სრულიად საქართველომ უნდა ამოიღოს ხმა. სხვათა შორის, მსოფლიოში ასეთი გრანდიოზული ნაგებობები აღარ შენდება, ცდილობენ, უფრო დაბალწნევიანი ჰესები ააშენონ. შარშან ონის რაიონში აპირებდნენ მსგავსი ნაგებობის მშენებლობას. რაჭის საზოგადოება, სპეციალისტები შეიკრიბნენ და ძალიან მკაცრი პროტესტი გაუწიეს. მე როგორც ვიცი, ეს პროექტი გაჩერდა. თუ საზოგადოება ხმას ამოიღებს, ქართველი საზოგადოება ფხიზლად იქნება, მსგავსი დამანგრეველი პროექტები არ აშენდება. სხვა სისტემის ნაგებობები უნდა აშენდეს. ჩვენ მშენებლობის წინააღმდეგი არა ვართ, თუ დამატებითი ელექტროენერგია შეიქმნება, მაგრამ, ჩვენი მოქალაქე რა შედეგს მიიღებს ამ მშენებლობისგან? ეს დაგვისაბუთონ.

***— ლეჩხუმელების აზრი უკვე იცით ამ საკითხზე?***

— ახლა რაიონში ჩავალ და მათ კიდევ შევეკითხები ამ საკითხზე. პრეზიდენტსა და პრემიერს კი არა, შესაძლოა საერთაშორისო ორგანიზაციებს მივმართოთ, რომლებიც გლობალური კლიმატის ცვილებაზე მუშაობენ. ჩვენ არც ერთ გზას არ გამოვრიცხავთ. ჩვენ გვინდა, რომ ყოველმხრივ შესწავლილი პროექტი დაიდოს და რაც შეიძლება ნაკლები ზარალი მიადგეს ქვეყანას. ხელისუფლებისგან ყველაფერია მოსალოდნელი. რამდენიმე დღის წინ მინისტრმა ხეთაგურმა „კომერსანტს" ინტერვიუ მისცა, სადაც ღიად ლაპარაკობს იმაზე, რომ ტყეები მოიჯარეს უნდა გადავცეთ 49-წლიანი ვადით. ლაპარაკია მილიონ 800 ათას ჰექტარ ტყეზე. ამას ემატება ის ლიცენზირებული ტყეები, რომლებიც უკვე გაცემულია. ახლა უბედურება, იცით, რა არის? ჩვენთან არის კანონი, რომლის მიხედვითაც მიწისქვეშ რაც საბადოებია, სახელმწიფო საკუთრებაა. ხეთაგური „კომერსანტთან" ინტერვიუში ამბობს, რომ მოიჯარე ვალდებულებას იღებს, ტყეში გზას შეიყვანს, რომ მოსახლეობამ შეშა მოჭრას, სამაგიეროდ ჩვენ ვთავაზობთ, რომ მიწისქვეშ რაც წიაღისეულია, მისი იყოს 49 წელი. ეს კატასტროფაა. ე.ი. ტყეს ხომ მოიხმარს და, მიწისქვეშ რაც არის, ისიც მისი იყოს. ჩვენი მიწა მტკაველ-მტკაველ ათეული წლების განმავლობაში შესწავლილია და, სად რა დევს, იციან. ფეშქაშად საბადოებსაც ჩუქნიან, ტყიანმიწიანად ასხვისებენ. ეს უბედურებაა!

## მარნეულში ტურამ სამი ადამიანი დაკბინა

მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ხანჯიგაზლოში დღეს ტურამ სამი მაცხოვრებელი დაკბინა.

58 წლის მაგარლამ ალიევს ტურამ ფეხზე მაშინ უკბინა, როცა ის ბალახს თიბავდა. ერთი საათის შემდეგ, იმავე მინდორზე ტურამ ქალბატონი დაკბინა. ყველაზე რთული მდგომარეობა კი სალადინ ოსმანოვს აქვს, რომელიც ტურამ ხელებზე და მუცლის არეში დაკბინა. ოსმანოვმა ცხოველის მოშორება ფიწლის საშუალებით მოახერხა.

მოსახლეობა შეშინებულია და მონადირეების ჯგუფის შექმნას ითხოვს. მიუხადევად იმისა, რომ მოსახლეობა სოფლის ტერიტორიაზე ტურებს ხშირად ხედავს. მათი თქმით, ეს ადამიანებზე თავდასხმის პირველი შემთხვევა იყო.

— დღეს ვიყავით ადგილზე მთავრობამ უკვე იცის მდგოამრეობა და შესაბამის რეაგირებას მოახდენს, — განაცხადა მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგეობის რწმუნებულმა დილანქი ბაირამოვმა.

დაზარალებულებს გამოკვლევა და ანტირაბიული ვაქცინაცია მარნეულის რაიონულ საავადმყოფოში ჩაუტარდათ. სამივე პაციენტი ამ დროისთვის მკურნალობას ბინაზე აგრძელებს.

**მედიანიუსი**

## დღეს გიორგი სანაიას მკვლელობიდან 10 წელი სრულდება



დღეს სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2"-ის ჟურნალისტ გიორგი სანაიას მკვლელობიდან 10 წელი სრულდება. იგი 2001 წლის 26 ივლისს თბილისში, საკუთარ ბინაში ცეცხლსასროლი იარაღით მოკლული იპოვეს. აღნიშნულ საქმეზე გამოძიება 2 წლის განმავლობაში მიმდინარეობდა. 2003 წლის 9 ივლისს სასამართლომ მკვლელობაში დამნაშავედ შინაგან საქმეთა ყოფილი თანამშრომელი, 32 წლის გრიგოლ ხურცილავა, მეტსახელად „გრიცკო" ცნო და მას 13 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. მკვლელობის ოფიციალურ მიზეზად პირადი მოტივი დასახელდა.

2004 წლის დეკემბერში საქართველოს უზენაესი სასამართლოს საკასაციო პალატამ არ დააკმაყოფილა სანაიას მეუღლის, ხათუნა ჩხაიძის მოთხოვნა, რომელიც მკვლელობის საქმის ხელახლა გამოძიებას მოითხოვდა. მას მიაჩნდა, რომ გამოძიება პროცესუალური ნორმების დარღვევით წარიმართა.

სასამართლომ ასევე არ დააკმაყოფილა გრიგოლ ხურცილავას ადვოკატ დავით დადიანის მოთხოვნა დაცვის ქვეშ მყოფისთვის განაჩენის შემსუბუქების თაობაზე. დადიანი ამტკიცებდა, რომ ხურცილავამ დანაშაული აფექტის მდგომარეობაში ჩაიდინა.

საზოგადოების გარკვეულ ნაწილს კი დღემდე სჯერა, რომ იგი პოლიტიკური მოტივით მოკლეს. მის მკვლელეობას ქვეყანაში მასშტაბური საპროტესტო აქციები მოჰყვა.

გიორგი სანაია 1975 წელს დაიბადა. დაამთავრი ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტი. 17 წლის ასაკში კორესპონდენტად აფხაზეთის ომში წავიდა. მოგვიანებით მუშაობა „რუსთავი-2"-ში დაიწყო, სადაც იმ დროისათვის ყველაზე პოპულარული თოქშოუ „ღამის კურიერი" მიჰყავდა.

გიორგი სანაია თბილისში, საბურთალოს პანთეონში არის დაკრძალული.

**მედიანიუსი**

## TV პროგრამა

**სამშაბათი 26 ივლისი**

**06.30** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **07.30** დოკ. ფილმი "ტიბეტი – დაკარგული სამშობლო" **08.30** ან. ფილმი "სამურაი" **09.00** სათავგად. ფილმი **"შავწვერა"** **12.00, 16.00, 20.00** მოამბე **12.30** სპორტული თოქ-შოუ "არენა" **13.30** მეხსიერება **14.00** ჩვენი ეზო **15.00** სერ. **"დოლმენი"** **17.00** ან. ფილმი "სამურაი" **18.00** ჩვენი ფერმა **18.30** დამზადებულია საქართველოში **19.05** დოკ. ფილმი "მხეცების კვალდაკვალ" **19.45** პეპეს ზღაპრები **21.00** სერ. **"დოლმენი"** **22.00, 02.10** ქართული დოკუმენტალისტიკა **23.00** მხ. ფილმი **"დედა"** (სუბტ.) **00.50** მოამბე **01.10** აუდიტორია **03.20** მხ. ფილმი **"ჯესიკა"** (12)

**08.00, 00.00** მოამბე (აფხაზურ, ოსურ, სომხურ, აზერბაიჯანულ ენებზე) **09.00, 12.00, 14.45, 17.45, 23.00** ბრიფინგის დროით **10.00, 22.00** თავისუფალი ტრიბუნა **11.00, 16.00** დოკ. ფილმი **14.00** საუკუნის პორტრეტები **17.00** მეხსიერება **19.00** დოკ. ფილმი "ეგვიპტე" **20.00** მხ. ფილმი **"ცასა და მიწას შორის"** **01.00** მხ. ფილმი **"მაგარი ბიჭები არ ცეკვავენ"**

**07.30** დილა მშვიდობისა **10.00** სერ. **"ცოდვილი"** **11.00** სერ. **"მიმტყვდეული"** **12.00, 15.00, 18.00, 21.00, 04.30** კურიერი **12.30** სხვა ამბები **13.00** ბიზნეს-კურიერი **13.30** შუა დღე (პირდ.) **15.40** ვანოს შოუ (გან.) **17.00** სერ. **"ავრორა"** **18.45** სერ. **"ქალის მსხვერპლი"** **19.45** სერ. **"ახალგაზრდა ქვრივი"** **21.50** ეროვნული ლატარეა **22.00** თქვენი შოუ **23.00** ვის უნდა **20** ათასი **00.00** შუა დღე (გან.) **02.00** პატრული **02.30** მხ. ფილმი (სუბტ.)

**08.05** ან. ფილმი "ელ ტიგრეს თავგადასავალი" **09.00, 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 03.10** ქრონიკა **09.15** საბ. სერ. "მონსტრებთან მებრძოლები" **10.00** სერ. **"ლამაზი სიცოცხლე"** **11.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **12.30** დღის შოუ (პირ.) **13.45** ტვ-მარკეტი **14.40** ღამის შოუ (გან.) **16.00** სერ. **"მეტოქეები"** **17.40** სერ. **"სიყვარულის ზღვა"** **18.40** სერ. **"როცა სიყვარული მოდის"** **21.00** სერ. **"დამალული სიმართლე"** **22.00** ნანუკას შოუ **23.30** მხ. ფილმი **"წერილები ჯულიეტასთვის"** (ა. საიფრიდი) (სუბტ.) **01.50** მხ. ფილმი **"სამართლიანობისთვის მებრძოლი"** (12) (ს. სიგალი) (სუბტ.) **03.25** მხ.ფ. **"შესანიშნავი შვიდეული"** (ი. ბრინერი) (სუბტ.)

**08.00** ანიმაცია **09.45** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **10.00** გოგიჩას დილა **11.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **13.00** "მზესუმზირა" (პირდ.) **14.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **15.30** იმედის ფსონი (პირდ.) **16.10** სერ. **"პოლიციელთა ამბები"** **17.10** მხ. ფილმი **19.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **22.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **23.30** რეალითი-შოუ "მზის სახლი" პირდ. **04.00** რეალითი-შოუ "მზის სახლი" დღიური **05.00** მხ. ფილმი

**08.30, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30, 01.30** "დრო" **09.00** მუსიკა **09.30, 23.40** სერ. **"სოფია, ცოტა მადრიდი"** **10.00** დოკ. ფილმი "გამოჩენილი ადამიანები" **10.40, 16.00** სახლი ბათუმში **11.10, 14.10, 17.10** ინგლისურის გაკვეთილი **11.50, 21.00** სერ. **"დაცვის უფლება"** **12.50, 19.30** სერ. **"მეგობრები"** **15.00** სერ. **"განებივრებული ლამაზმანი"** **16.30** დროის ვექტორი **18.00** დოკ. ფილმი **00.30** მხ. ფილმი

**ერთსულოვნება** **08.30** დილის პროგრამა "განთიადი" **10.00, 19.00, 22.00, 00.05** სიახლენი **10.25** დოკ. ფილმი "საქართველოს დიდება" **11.00** საქართველოს ისტორია **11.30** დოკ. ფილმი "ქორონიკონს ქრისტეს აქეთ" 1-ლი ნ. **11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55** შვიდგზის ლოცვა **12.00, 15.00** საეკლესიო კალენდარი **12.15** მხ. ფ. **"გლახის ნაამბობი"** **13.30** კონცერტი– ნიჟინარი და სახიობა **15.05** ახალი აღთქმის განმარტებანი **15.25** მხ. ფილმი **"დღე უკანასკნელი, დღე პირველი"** **17.30** დოკ.ფ. "ველური ბუნება" **18.05** ჩვენ ვუკრავთ კლასიკას **18.15** "კეთილმოწყალე უფალი" ფილმი მე-2 **18.40** ძველი აღთქმის განმარტებანი **19.15** მხ. ფილმი **"ძმა"** **21.05** პატრიარქის ქადაგება **21.15** სღვთისმეტყველო საუბრები **22.25** მგზავრები წუთისოფლისა **23.00** საღამოს ლოცვა **23.15** დროის ჩანაწერები **00.30** განთიადის სტუმარი **00.55** კარაბადინი **01.20** დოკ. ფილმი "100000 ვარსკვლავი" **01.45** მოკ. ფილმი **"სერენადა"**

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**26 ივლისი**

## ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 1,6688

ევრო —2,3929

ინგლისური გირვანქა სტერლინგი — 2,6721

რუსული რუბლი — 0,0598

**აღმოსავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 18-21

**დასავლეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 39-33, ღამით — 24-26

**სამხრეთ საქართველო:** ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 25-27, ღამით — 12-18

## ამინდის პროგნოზი 26 ივლისისთვის




## კროსვორდი ა

**შვეულად:** 1. სატირული სიუჟეტის დრამატული ნაწარმოები; 2. მაღალყელიანი რეზინის ფეხსაცმელი; 3. ინგლისის ნავსადგური პა-დე-კალეს სრუტეში; 4. იაპონელთა ნაციონალური ტანსაცმელი; 6. მდგომარეობა ჭიდაობაში; 9. საგანგებოდ გამოყვანილი დამარილებული და შებოლილი ღორის ხორცი; 13. ქოსა მამაკაცის ძველი ქართული სახელწოდება; 14. ბუდიზმის ფუძემდებელი; 15. ხოხბისნაირთა ოჯახის პატარა ფრინველი; 17. ფაიფურის წარმოების ცენტრი საფრანგეთში; 18. ურარტუს ისტორიული დედაქალაქი; 20. ღვინის დანალექი.

**თარაზულად:** 1. პოეტი, სახალხო მთქმელი უკრაინაში; 5. ნაპოლეონის მშობლიური ქალაქი კორსიკაში; 7. ავადმყოფური მიდრეკილება ჭარბი ჭამისადმი, გაუმაძღრობა; 8. მინერალური წყალი ბორჯომის ხეობაში; 10. დიდი ისტორიული პერიოდი; 11. მესაქონლეობის ფერმა ლათინურ ამერიკაში; 12. ველური ვარდი; 16. ბელგიური ავიაკომპანია; 17. ანტარქტიდის ინგლისელი მკვლევარი; 19. ფრანგი მეზღაპრე; 21. „სამანიშვილის დედინაცვლის“ პერსონაჟი; 22. გემის ან თვითმფრინავის აცდენა კურსიდან ქარის ან წყლის დინების გავლენით; 23. ფულის ერთეული კუვეიტში; 24. დილის სადილი.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**



# საქართველო და შენგელია საუკეთესოები არიან



დავით უსტიაშვილის გუნდმა ევროპის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპზე, სადაც 22 გუნდი მონაწილეობდა, ყველას აჯობა და პირველი ადგილი დაიკავა. მას შემდეგ, რაც ქართველებმა ნახევარფინალში ჩეხეთს აჯობეს და ა დივიზიონის საგზური გაინაღდეს, შემდეგ კი ფინალი, რომელსაც სპორტული ინტერესი მხოლოდ გამარჯვების სახით ჰქონდა, ითამაშეს და ესტონეთის ნაკრები დამაჯერებლად — 79:70 დაამარცხეს.

ესტონეთი საქართველოს ნაკრებთან პირველ ჯგუფურ ეტაპზე იყო და მაშინ უსტიაშვილის გუნდმა დრამატულ ბრძოლაში ბოლო წამზე მერაბ ბოქოლიშვილის ზუსტი სროლის წყალობით 78:77 დაამარცხა. მას შემდეგ ესტონეთმა წაუგებლად განვლო ტურნირი და ფინალამდე მივიდა. თუმცა ამჯერად ქართველებს საქმე ბოლო წუთამდე არ მიუყვანიათ — გამართული და დამაჯერებელი თამაშის წყალობით ჩვენმა 20-წლამდელებმა ბალტიელები დაამარცხეს და სარაევოში დასრულებული ბ დივიზიონის საუკეთესო ნაკრების ტიტული ირგუნეს.

საქართველოს ნაკრებში კვლავ თორნიკე შენგელია გამოირჩა, რომელმაც ისევ მოახერხა ორმაგი დუბლის შესრულება — 26 ქულა, 10 მოხსნა, 4 პასი, 4 დაფარება, 2 ჩაჭრა. ორმაგი დუბლით გამოირჩა აკაკი დვალიშვილიც — 20 ქულა და 10 მოხსნა. კიდევ ერთი კალათბურთელი, ორმელიც 10□ქულიან ზღვარს ასცდა, დუდა სანაძე გახლდათ — მისი მონაგარი 16 ქულაა.

უნდა აღინიშნოს, რომ თორნიკე შენგელია ბოსნიაში დასრულებული ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საუკეთესო მოთამაშედ დაასახელეს და ასევე მას გადაეცა საუკეთესო თავდამსხმელის პრიზიც. ასე რომ არ მომხდარიყო, გასაკვირი ის იქნებოდა, რადგან შენგელიაზე უკეთესად სარაევოში არავის უთამაშია. 19 წლის პერსპექტიულმა

გაგრძელება მე-11 გვერდზე

## ასტროპროგნოზი 26 ივლისისთვის

**ყველამ გაითვალისწინეთ!**

**ვერძი** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **კურო** — გზიდან ახალ ამბავს გაიგებთ, გახარებული ხართ. **ტყუპები** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — სახლში სიახლეა, ძვირფას ავეჯს შეიძენთ. **ქალწული** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **სასწორი** — ეს დღე მშვიდად ჩაივლის, მნიშვნელოვანი არაფერი მოხდება. **ღრიანკალი** — ახალ სამსახურში თავს კომფორტულად იგრძნობთ. **მშვილდოსანი** — პოზიტიური დღეა, ყველა საქმე გამოგდით. **თხის რქა** — მიიღეთ ხილი და ბოსტნეული, არ გადაიღალოთ. **მერწყული** — შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ, მთლიანობაში ჰარმონიული დღეა. **თევზები** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**




27 ივლისიდან

ჟურნალ „სარკესთან“

ერთად გამოვა

„ქართული მწერლობის საუნჯის“

მე-2 ტომი




# ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია დაიწყო

ეკა ირემაშვილი



ცნობილი ქართველი მსახიობის ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმის რეაბილიტაცია, ხანგრძლივი ლოდინის შემდეგ, დაიწყო. გურჯაანის რაიონის სოფელ გურჯაანში სარეაბილიტაციო სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს და მასში კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოც არის ჩართული. სახლ-მუზეუმის რეაბილიტირებისთვის სააგენტომ 100.000 ლარი გამოყო.

მთლიანობაში ნატო ვაჩნაძის სახლ-მუზეუმში რთული ვითარება იყო. პირველ ეტაპზე რეაბილიტაცია ჩაუტარდება ჭერს, აივანს და კიბეს. ამისათვის ხის მასალა უკვე შეძენილია. მეორე ეტაპზე კი უკვე შიდა სამუშაოები ჩატარდება. წინასწარი ვარაუდით, მუზეუმის რეაბილიტაცია შემოდგომისთვის უკვე დასრულდება.

მიუხედავად იმისა, რომ ნატო ვაჩნაძე ვარშავაში დაიბადა, მისი სახლ-მუზეუმი გურჯაანში იმ ადგილას გაიხსნა, სადაც მსახიობი წლების განმავლობაში ცხოვრობდა. მისი ოჯახი საქართველოში საცხოვრებლად 1910 წელს გადმოვიდა. ნატოს მამა ოს ყაჩაღთან დაპირისპირებას შეეწირა, ამ ამბავმა 4 ბავშვი ობლად დატოვა. დედამ შვილები წაიყვანა კახეთში, სადაც ქმრის განადგურებული მამული დახვდა, მაგრამ მან მალე ააშენა გურჯაანში ოთხოთახიანი პატარა სახლი და საცხოვრებლად იქ გადავიდნენ. კახეთში ნატო ვაჩნაძემ გაიცნო მერაბ ვაჩნაძე, რომელსაც მეშვიდე კლასის გამოცდების ჩაბარების შემდეგ გაჰყვა ცოლად. მერაბ ვაჩნაძისგან ნატოს ჰყავდა ვაჟი — თენგიზი, რომელიც არქიტექტორი გახდა. ნატო და მერაბი მალე დაშორდნენ ერთმანეთს. მერაბ ვაჩნაძე გადასახლებაში დაიღუპა. ნატო თბილისში მუშაობდა, იგი შემთხვევით აღმოაჩინეს. კინოში ნატო ვაჩნაძე „არსენა ყაჩაღში“ გამოჩნდა. რამდენიმე თვეში, არა მხოლოდ საქართველომ, არამედ მთელმა საბჭოთა კავშირმა გაიცნო ნატო. მისი ფოტოები ელვის სისწრაფით გავრცელდა ჟურნალებში. იგი საბჭოთა ეკრანის მეგავარსკვლავი გახდა. მისი კარიერის მწვერვალზე საბჭოთა კინომ მას ჰოლივუდის სტილის ბრწყინვალება და დიდება მოუტანა. ნატო ვაჩნაძემ შეასრულა მრავალი როლი როგორც მუნჯ, ასევე ხმოვან ფილმებში. მისი უკანასკნელი როლი აღმოჩნდა ელისაბედი დავით რონდელის ფილმში „მწვერვალთა დაპყრობანი“.

„ნატო ვაჩნაძე ქართველი ვერა ხოლოდნაიაა“ — ასე ამცნობდა აფიშები საზოგადოებას ნატოს დაბადებას. ნატო მეორედ დაოჯახდა, მისი რჩეული ახალგაზრდა და ნიჭიერი კინორეჟისორი ნიკოლოზ შენგელაია აღმოჩნდა, რომელთანაც ეყოლა ორი ვაჟი ელდარი და გიორგი. მათ ერთმანეთი ერთ-ერთი ფილმის გადაღების დროს გაიცნეს. ნატო ვაჩნაძემ ნიკოლოზ შენგელაიას „ჩემი ცხოვრების რეჟისორი უწოდა“. მსახიობის ცხოვრებაში გარდატეხა შეიტანა კოტე მარჯანიშვილთან შეხვედრამ. ხმოვანი კინოს გამოჩენისას ნატო

გაგრძელება მე-11 გვერდზე